



სასამართლო სისტემის მონიტორინგი

სასამართლო ხელისუფლება და ადამიანის უფლებები

თბილისი 2009

შინაარსი:

1. შესავალი;
2. რეფორმის დადებითი ტენდენციები;
3. პრობლემები სასამართლო დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით;
4. მართლმსაჯულების ორგანოდ პროკურატურის „დაკანონება“;
5. სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა და მიუკერძოებლობა;
6. სასამართლო გადაწყვეტილებები და ზეწოლა;
7. კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები;
8. დასკვნები და რეკომენდაციები.

## შესავალი

წინამდებარე ანგარიში მომზადდა „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ მხარდაჭერით, პროექტის - „სასამართლო სისტემის მონიტორინგი“ - ფარგლებში. პროექტის მიზანია სასამართლო სისტემის გამჭვირვალობისა და გახსნილობის გაზრდა და საზოგადოებრივი ნდობის ხელშეწყობა. პროექტის განმავლობაში ჟურნალისტთა ჯგუფის მიერ ჩატარდა 20 გამოძიება, იურისტებმა შეისწავლეს 50-მდე საქმე და ჩატარეს მონიტორინგი. აღნიშნული ანგარიში მოიცავს მონიტორინგის შედეგებს, მის ანალიზს და რეკომენდაციებს.

\* \* \*

“საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, „სასამართლოს მეშვეობით ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაიცვას თავისი უფლებები და თავისუფლებები. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებისაგან და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.

მოსამართლე უნდა იყოს დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში, ემორჩილებოდეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებას, შეთანხმებას და კანონს. სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოს, დაწესებულებას, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებას, თანამდებობის პირს, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს ეკრძალებათ სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვა.<sup>1</sup>

1997 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიღებით საქართველოში სასამართლო რეფორმა დაიწყო. რეფორმის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის კონსტიტუციით განმტკიცებული ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპის რეალიზება და, ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის უზრუნველსაყოფად, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ფორმირება.<sup>2</sup> სამწუხაროდ, 1997 წელს დაწყებულ სასამართლო რეფორმას არ მოჰყოლია ის შედეგები, რასაც რეფორმის კონცეფცია ითვალისწინებდა. სასამართლო სისტემაში დაგროვილმა უამრავმა პრობლემამ ხელი შეუწყო არაჯანსაღი პროცესების განვითარებას.

სასამართლო რეფორმის ახალი ეტაპი 2005 წელს დაიწყო. შემუშავებულ იქნა რეფორმის ახალი კონცეფცია და განისაზღვრა ახალი პრიორიტეტები.

მოცემული ანგარიში ასახავს მნიშვნელოვან სამართლებრივ, სამოსამართლო და პოლიტიკურ მოვლენებს და წარმოაჩენს, თუ როგორ მოქმედებს აღნიშნული მოვლენები სასამართლოს ანგარიშვალდებულებაზე, ეფექტურობასა და დამოუკიდებლობაზე. ამასთან, ის განსაზღვრავს, თუ სასამართლო დამოუკიდებლობის რომელ საკითხში ხდებოდა უკუსვლა; აღნიშნავს, სად არ

---

<sup>1</sup> საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ 13.06.1997 წ

<sup>2</sup> იხილეთ ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე - <http://hcoj.gov.ge/?l=2&i=60>

გამართლა ან უმნიშვნელო გავლენა ჰქონდა სასამართლო რეფორმის ძალისხმევას. დასკვნები და ანალიზი ეფუძნება საქართველოში 2008-2009 წლებში ჩატარებულ ჟურნალისტურ გამოძიებებს, ასევე მათ მიერვე მომზადებულ საგაზეთო სტატიებს. ჟურნალისტური გამოძიების პროცესში ჩატარებულ იქნა 100-მდე ინტერვიუ ადვოკატებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან.

ვიმედოვნებთ, სასამართლო სისტემის მონიტორინგის ანალიზი ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემაში არსებული ხარვეზებისა გამოსწორებასა და პრაქტიკის გაუმჯობესებას.

## რეფორმის დადებითი ტენდენციები.

აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი, რომელიც სასამართლო რეფორმის ფარგლებში განხორციელდა:

- ❖ პირველი, რაც უნდა აღინიშნოს არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სახეცვლილება: იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც წარმოადგენდა პრეზიდენტის საკონსულტაციო ორგანოს სასამართლოს საკითხებზე, გარდაიქმნა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელ ორგანოდ. ამჟამად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უშუალოდ აგებს პასუხს რაიონული (საქალაქო), და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა დანიშვნაზე და თანამდებობიდან გათავისუფლებაზე. ამჟამად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა და არა საქართველოს პრეზიდენტი, როგორც ეს წარსულში იყო;
- ❖ აგრეთვე, სასამართლო სხდომებზე წესრიგის თვალსაზრისით მდგომარეობა გაუმჯობესდა. საერთო სასამართლოებში წესრიგის დაცვისა და მართლმსაჯულების შეუფერხებლად განხორციელებისათვის ხელშეწყობის მიზნით `საერთო სასამართლოების შესახებ` საქართველოს ორგანული კანონით შემოღებულ იქნა სასამართლოს მანდატურის ინსტიტუტი. სასამართლოს შენობებში უნიფორმაში გამოწყობილი მანდატურების უბრალო ყოფნამ რეალური გავლენა მოახდინა უფრო ღირსეული გარემოს შექმნაზე;
- ❖ სასამართლო სისტემაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების სრულყოფის ერთ-ერთ ინდიკატორად მოსამართლეთა მყარი სოციალური გარანტიების შექმნა განისაზღვრა. 1999 წლამდე მოსამართლის ხელფასი 30 ლარს არ აღემატებოდა, არ არსებობდა ტექნიკურად აღჭურვილი სასამართლო შენობები, ეფექტური და მოქნილი ადმინისტრირება. ასეთ პირობებში, თავისთავად ძნელი იქნებოდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. ამჟამად, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოს მინიმალური ზღვარი 1550 ლარია, ხოლო მაქსიმალური – 4100 ლარი. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიების განსაზღვრასთან ერთად, ახლებურად განისაზღვრა საერთო სასამართლოების აპარატების მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები. აპარატის მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ზღვარი შეადგენდა 250 ლარს, ხოლო მინიმალური ზღვარი – 70 ლარს. 2007 წლის პირველი იანვრიდან ხელფასის ქვედა ზღვარი განისაზღვრა 140 ლარით, ხოლო ზედა ზღვარი – 1250 ლარით;
- ❖ ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სწრაფი და კვალიფიციური მართლმსაჯულების არსებობას. აღნიშნულის მიზნის მიღწევისათვის მნიშვნელოვანია სასამართლოს გამართული ფუნქციონირება და ადმინისტრირების ეფექტური მექანიზმების შემოღება, საქმისწარმოების წესის სრულყოფა. ამ მიმართულებით აღსანიშნავია საქმისწარმოების ფორმების შემოღება, რომელიც იძლევა საქმის განხილვის გაჭიანურების მიზეზების გამოვლენის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საპროცესო კანონმდებლობაში, კერძოდ: გამარტივდა საქმის განხილვის პროცედურები; მოსამართლეს მთავრად შესაძლებლობა საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად გამოიყენონ უფრო მოქნილი და ეფექტური სამართლებრივი მექანიზმები;
- ❖ სასამართლო რეფორმის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასამართლოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და შესაბამისად, მოსამართლეთა და

სასამართლოს აპარატის მოსამსახურეთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. რეფორმის დაწყებამდე სასამართლოთა შენობები იმყოფებოდა სავალალო მდგომარეობაში. მიმდინარე ეტაპზე სასამართლო შენობებს ჩაუტარდა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად. მნიშვნელოვანია ახალი დარბაზების მოწყობა, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით.

## პრობლემები სასამართლო დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით

დღეს მოსამართლეთა გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა კვლავაც პრობლემად რჩება: ჩატარებული მონიტორინგის მსვლელობისას გამოირკვა, რომ სამოქალაქო დავების განხილვისას, მოსამართლეები ძირითადად დამოუკიდებელნი არიან; ხოლო ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პროკურატურის მხრიდან ზეწოლა კვლავ არსებობს. სისხლის სამართლის საქმეებზე მოსამართლის დამოუკიდებლობა გამონაკლისად უფრო მეტად მიიჩნევა, ვიდრე წესად, რასაც მოწმობს გამამართლებელი განაჩენების საკმაოდ მწირი რაოდენობა და განაჩენები, რომლებიც უმეტესწილად პროკურორის მოთხოვნას ემთხვევა.

პრობლემად რჩება წინასწარი აღკვეთის ღონისძიებად საპატიმრო ღონისძიების გამოყენება. კვლევა აჩვენებს, რომ სასამართლო ფორმალურად განიხილავს პროკურორის შუამდგომლობას და მისი ზეწოლის ქვეშ იმყოფება. ფაქტიურად, სასამართლო ნოტარიუსის ფუნქციას ასრულებს, რადგან მისი როლი მხოლოდ ბეჭდის დასმით შემოიფარგლება და დამოუკიდებელ განხილვას არ გულისმობს.

სასამართლო აღკვეთის ღონისძიების შეფარდების ან გაგრძელების ყოველი კონკრეტული საკითხის განხილვისას უნდა ამოდიოდეს პირის თავისუფლების პრეზუმფციიდან. ამასთანავე, სასამართლო და ბრალდების განმხორციელებელი ორგანოები აღკვეთის ღონისძიების შერჩევას ვალდებულნი არიან საკითხის განხილვა დაიწყონ უფრო მსუბუქი ღონისძიებიდან და მხოლოდ შემდეგ განიხილონ შედარებით მეტი სიმკაცრის ღონისძიების გამოყენების საკითხი; ხოლო, პატიმრობა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა უფრო მსუბუქი ზომა იმავე შედეგს ვერ გამოიღებს. როგორც საქართველოში ჩამოყალიბებული პრაქტიკა და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი გვიჩვენებს, ზემოაღნიშნული სრულიად უგულვებელყოფილია სასამართლოების მიერ. ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მტკიცების ტვირთი გადააქვს დაცვის მხარეზე და ამის საპირისპიროდ თითქმის უპროტესტოდ და არსებითი განხილვის გარეშე აკმაყოფილებს ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილ აღკვეთის ღონისძიებებს. აღნიშნულს თუნდაც ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე მაგალითიც ადასტურებს. პრაქტიკულად, არ არსებობს სასამართლო პრაქტიკაში შემთხვევა, როდესაც სასამართლოს პროკურატურის მიერ მოთხოვნილისგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიეღო, რაც კანონიერების და სამართლიანობის დარღვევა და უგელებელყოფაა.

**მოქმედი კანონმდებლობით, ბრალდებულის სასარგებლოდ გირაოს სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადახდა მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც სასამართლო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ ბრძანებას გამოიტანს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მოსამართლე უფლებამოსილია ნაწილობრივ ან მთლიანად დააკმაყოფილოს პროკურორის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ, ან საერთოდ უარი თქვას მის გამოყენებაზე და ბრალდებული გაათავისუფლოს.**

ქვემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ დადგენილი წესების მიუხედავად, პროკურორმა ბრალდებულს გირაო მოსამართლის მიერ შუამდგომლობის განხილვამდე გადაახდევინა:

## ზაზა ლაზაშვილის და გიორგი ჩაკვეტაძის საქმე<sup>3</sup>

შს გურჯაანის სამმართველოს თანამშრომლებმა ზაზა ლაზაშვილი და გიორგი ჩაკვეტაძე 2009 წლის 22 ივლისს დააკავეს. პროკურატურამ დაკავებულებს ბრალი ხულიგნობაში დასდო. სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, ლაზაშვილმა და ჩაკვეტაძემ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ნიკა და ნათია ჯღარკავეს. დაკავებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიებად გირაოს შერჩევის შესახებ, გამომძიებელმა ზაქარია კიკილაშვილმა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს 24 ივლისს მიმართა. გამომძიებელი პროკურორ გიორგი ქოქიაშვილთან შეთანხმებული შუამდგომლობებით, ლაზაშვილისთვის ხუთი, ხოლო ჩაკვეტაძისთვის 3 ათასი ლარის ოდენობის გირაოს შერჩევას ითხოვდა.

დაკავებული ზაზა ლაზაშვილის დედას ანა ლაზაშვილს, გირაოს სახით 5 ათასი ლარი სისხლის სამართლის საქმეზე 023090294 სახალხო ბანკის გურჯაანის ფილიალში 24 ივლისს აქვს გადახდილი. ამავე რიცხვშია გადახდილი 3 ათასი ლარიც ხაზინის ერთიან ანგარიშზე გიორგი ჩაკვეტაძის სასარგებლოდ. გირაოს სახით თანხების გადახდას, გადახდის ქვითარი ადასტურებს. დაკავებულების მშობლებმა გირაო პროკურორ გიორგი ქოქიაშვილთან გამართული მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმების შემდეგ გადაიხადეს.

24 ივლისს, გურჯაანის რაიონულმა პროკურატურამ სასამართლოდან ზაზა ლაზაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შერჩევის თაობაზე შეტანილი შუამდგომლობა უკან გამოითხოვა, მოგვიანებით კი სასამართლოში ახალი შუამდგომლობა წარადგინა. პროკურატურამ მოთხოვნა შეცვალა და ლაზაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების შერჩევა მოითხოვა. ეს ხდება მას შემდეგ, რაც დაკავებულის დედამ გირაოს სახით 5 ათასი ლარი უკვე გადაიხადა.

ანა ლაზაშვილის თქმით, მისი შვილისთვის გირაოს ნაცვლად დაპატიმრების შერჩევა, გურჯაანის პოლიციის საგამომიებო ნაწილის უფროსმა ილია ოთარაშვილმა მოითხოვა. მისივე განცხადებით, ილია ოთარაშვილს ზაზა ლაზაშვილთან პირადი მტრობა აქვს, რაც მათ ბიზნეს საქმიანობას უკავშირდება. „ილია ოთარაშვილს ქალაქ გურჯაანში, სასტუმროს შენობაში პოკერ კლუბი ჰქონდა გახსნილი. ამავე საქმით იყო დაკავებული ჩემი შვილიც. ოთარაშვილი ზაზას კონკურენტად აღიქვამდა და საქმეში ხელს უშლიდა. არაერთხელ დაემუქრა, გაგაფუჭებო და ასეც მოხდა“, - აღნიშნავს ანა ლაზაშვილი.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შალვა მჭედლიშვილმა გამომძიებელ ზაქარია კიკილაშვილის შუამდგომლობები 25 ივლისს 14 საათსა და 10 წუთზე განიხილა. მოსამართლემ გიორგი ჩაკვეტაძეს გირაო შეუფარდა 5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ზაზა ლაზაშვილს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა.

ბრძანების გამოცხადებამდე, შუამდგომლობის განხილვის დროს ლაზაშვილის ადვოკატმა ნოშრევან ქელეხსაშვილმა განაცხადა, რომ დაკავებულს გირაოს უზრუნველყოფის მიზნით 5 ათასი ლარი ჰქონდა გადახდილი, მაგრამ აღნიშნულს ყურადღება სასამართლომ არ მიაქცია. მოსამართლე არ დაინტერესდა, როგორ და რატომ იქნა გადახდილი ბრალდებულთა სასარგებლოდ გირაო, სასამართლოს მიერ შუამდგომლობების განხილვამდე და ბრძანების მიღებამდე.

გირაოს თანხის გადახდა ხდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით.<sup>4</sup> მოცემული ფაქტი კი პირდაპირ მიანიშნებს, რომ სასამართლო აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ შუამდგომლობებს მხოლოდ ფორმალურად განიხილავს და პროკურატურის ზეწოლის ქვეშ იმყოფება.

<sup>3</sup> დამატებითი ინფორმაცია გთხოვთ იხილოთ: <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=4100&lang=ge>

<sup>4</sup> იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;



## ბიძინა სეფიაშვილისა და სპარტაკ სალთხუციშვილის საქმე<sup>5</sup>

2009 წლის 04 იანვარს გურჯაანის რაიონული სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებლები, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი დავით ხიზანიშვილი და პოლიციის პოლკოვნიკი ნუგზარ მენტეშაშვილი დაახლოებით 19 საათზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ ქ. გურჯაანში, ე.წ. “პაპას ბაღის” ტერიტორიაზე, რა დროსაც ისინი იმყოფებოდნენ პოლიციის ფორმაში. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მოდიოდნენ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფები ბიძინა სეფიაშვილი, სპარტაკ სალთხუციშვილი და გიორგი ოტიშვილი. სეფიაშვილმა და სალთხუციშვილმა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის და შეწყვეტის მიზნით პოლიციის მუშაკებისთვის წინააღმდეგობის გაწევა განიზრახეს. ისინი მივიდნენ პოლიციის მუშაკ დავით ხიზანიშვილთან და მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ხიზანიშვილი შეეცადა თავის დაცვას, მაგრამ სპარტაკ სალთხუციშვილმა მას უკნიდან მოხვია ხელი, შებოჭა და განაგრძო შებოჭილი დავით ხიზანიშვილის ცემა სახისა და ტანის არეში. ნუგზარ მენტეშაშვილმა ინციდენტის დროს რამდენჯერმე ახსენა, რომ იყვნენ პოლიციის მუშაკები, თუმცა ამას არანაირი ზეგავლენა არ მოუხდენია თავდამსხმელებზე - ისინი კვლავ აგრძელებდნენ ცემას, რის შედეგადაც დავით ხიზანიშვილს მიაყენეს სხეულის მძიმე დაზიანებები. პოლიციის მუშაკების მიერ წინააღმდეგობის გაწევა 10-15 წუთს გრძელდებოდა, რის შემდეგაც მოქალაქეებმა დახმარებისთვის მიმართეს პოლიციის განყოფილებას, რათა თავდასხმა აღეკვეთათ, - აღნიშნავს გურჯაანის რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი ვახტანგ რუამე.

გამომძიებელმა ვახტანგ რუამემ ბიძინა სეფიაშვილსა და სპარტაკ სალთხუციშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის II ნაწილით წარუდგინა. სსკ-ის 353-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობა არ არის. "აღნიშნული მუხლი პოლიციის მუშაკის ან ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობას ითვალისწინებს, მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე აშკარა უკანონო ქმედებისათვის მისი იძულება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით. კონკრეტულ შემთხვევაში პოლიციის მუშაკს დავით ხიზანიშვილს, რომელიც სოფელ ველისციხის უბნის რწმუნებულია, შემთხვევის ადგილზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა არ ევალებოდა და ამას არც ახორციელებდა. საქმის მასალებშიც არ არის მითითებული, რა სახის წესრიგის დაცვას ახორციელებდა ხიზანიშვილი.

ბრალდების მხარემ სასამართლოსგან დაკავებულებისთვის წინასწარი აღკვეთის ღონისძიების სახით ორთვიანი პატიმრობის შეფარდება მოითხოვა. აღნიშნულის მიზეზად შუამდგომლობაში მიუთითა, რომ დაპატიმრების შეურჩევლობის შემთხვევაში, შესაძლებელია, ბრალდებულებმა ზემოქმედება მოახდინონ პროცესის მონაწილეებზე, მიიმალონ და გააგრძელონ დანაშაულებრივი საქმიანობა.

გარდა ამისა, სასამართლო არც კი იწუხებს თავს შეამოწმოს და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მანც მოიყვანოს საქართველოს პროკურატურის მიერ მოთხოვნილი ღონისძიების სიმკაცრე და ოდენობა. საუბარია სასამართლოების მხრიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის გაუთვალისწინებლობასა და დარღვევაზე. აღნიშნული ნორმის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებისას და მისი ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და ბრალდებულის ქონებრივ მდგომარეობას. ქვემოთ მოყვანილი ერთი მაგალითიც კი საკმარისია იმის დასადასტურებლად, რაც ზემოთ ითქვა (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტის გარდა სასამართლო პრაქტიკაში სხვა უამრავი მსგავსი შემთხვევის მოძიება შეიძლება).

<sup>5</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=3484&lang=ge>

## გიორგი ჯიქურის საქმე<sup>6</sup>

გიორგი ჯიქური, მე-3 კურსის სტუდენტი, წარმოშობით დუშეთის რაიონიდან, თბილისში მამიდასთან ცხოვრობდა. იგი პოლიციამ 2006 წლის 22 ოქტომბერს ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავა, როდესაც მობილურ ტელეფონს ყიდულობდა.

**გიორგი ჯიქურის დაკითხვის ოქმიდან (საქმე N 063127):** „2006 წლის 22 ოქტომბერს გავედი მამიდაჩემის სახლიდან, დაახლოებით დილის 12 საათზე და წავედი ვაგზლის მოედანზე. ბაზრობაზე ვათვალიერებდი მობილურ ტელეფონებს, რადგან მსურდა, შემეძინა. ამ დროს ჩემთან მოვიდა უცნობი მამაკაცი, რომელმაც შემომთავაზა მობილურის ყიდვა - თუ გინდა, 20 ლარი მომეცი და ნახევარ საათში მოგიტან ტელეფონსო. მე მას ვენდე და თანხა მივეცი. ვენდე, რადგან დამიტოვა პირადობის მოწმობა. როდესაც ეს პიროვნება ჩემგან წავიდა, ჩემთან მოვიდნენ პოლიციის თანამშრომლები და დამაკავეს.“  
გიორგი ჯიქური ადგილზევე გაჩხრიკეს, თუმცა ფულისა და სტუდენტის გარდა ბევრი ვერაფერი უნახეს. ნივთმტკიცების (მობილური ტელეფონის) ამოღების მიზნით გაიჩხრიკა მამიდამისის, ელზა ჯიქურის სახლიც, სადაც მობილური ასევე არ აღმოჩნდა.

ტელეფონი „**მოტოროლა V3**“ IMEI-კოდით **355537-00-446719-9**“ (ტელეფონის ინდივიდუალური კოდი), რომელსაც პოლიცია ჯერ ჯიქურის ჯიბეში, მერე კი მამიდამისის ბინაში ეძებდა, საგამოძიებო მასალების მიხედვით, 17 ოქტომბერს ვინმე გიორგი ბერიკაშვილმა დაკარგა და ამის თაობაზე მეორე დღეს მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს მიმართა.

20 ოქტომბერს კიდევ ერთი განცხადება ამჯერად უკვე შსს თბილისის მთავარ სამმართველოში დაიწერა. გამოძიების მასალებით, ვინმე **ილია როგავა** იტყობინებოდა, რომ 20 ოქტომბერს ფილარმონიასთან, კიბეებზე, მობილური ტელეფონი იპოვა. მას აინტერესებდა, ხომ არ იყო ეს ტელეფონი მოპარული და შეეძლო თუ არა მისი გაყიდვა.

საგამოძიებო საქმეში ჩართულ როგავას განცხადებაში განსაკუთრებით საინტერესოდ მოგვეჩვენა ბოლო აზვანი: „მე ვიცი, თუ სად იზარებენ უყუთო და მოპარულ ტელეფონებს. უყუთო და მოპარულ ტელეფონებს დებულობენ თბილისში, სავაჭრო ცენტრ „პასაჟის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. ამასთან დაკავშირებით მე მზად ვარ, ვითანამშრომლო გამოძიებასთან“.

გამოძიების მასალების მიხედვით ჩანს, რომ როგავა გამოძიებასთან თანამშრომლობას ასეთი გეგმის მიხედვით შეუდგა: ბერიკაშვილის „მოტოროლით“ ის ბაზრობაზე წავიდა და გიორგი ჯიქურს მისი ყიდვა შესთავაზა. პარალელურად ის იწერდა საუბარს, რომელიც მასა და ჯიქურს შორის წარიმართა. პოლიციელები იქვე იდგნენ და ელოდნენ, თუ როდის იყიდდა ჯიქური მობილურს, რათა ადგილზე დაეკავებინათ.

**სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების მოთხოვნა დააკმაყოფილა, იმ განსხვავებით, რომ ჯიქურს საბოლოოდ არა 100 ათასი დოლარი, არამედ 100 ათასი ლარი მოსთხოვა.**

აღნიშნული თანხა სტუდენტ გიორგი ჯიქურს, არც მეტი არც ნაკლები, 14 დღეში უნდა გადაეხადა.

გიორგი ჯიქურის საქმე იმითაც არის საინტერესო, რომ იგი დიდი ოპერაციის ნაწილია. იმ რამდენიმე დღეში გიორგის მსგავსად პოლიციამ ცხრა ადამიანი აიყვანა. ყველა მათგანს მოპარული მობილურის შეძენა ან რეალიზება ბრალდებოდა. ისევე, როგორც ჯიქურს, სხვებსაც 100 ათას ლარიანი გირაოები შეუფარდეს და დაახლოებით 1 წლით, წელიწად-ნახევრით ჩასვეს ციხეში. ყველა ისტორია ტყუპისცალივით ერთმანეთის მსგავსი იყო.

<sup>6</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=3476&lang=ge>

## მუხროვანის საქმე<sup>7</sup>

არშემდგარი სამხედრო ამბოხის ისტორია 5 მაისის მუხროვანის მოვლენებით დაიწყო. შს სამინისტროს მიერ ტელეეთერთი გავრცელებული ოპერატიული ვიდეომასალით ცნობილი გახდა, რომ 5 მაისს, დილით, მუხროვანის ბატალიონმა დაუმორჩილებლობა გამოაცხადა – ტანკები უკვე დაქოქილი იყო და ბატალიონი საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდა.

შსს-ს ვიდეომასალაზე, რომელიც ტელეეთერთი გავრცელდა, თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმის ყოფილი მეთაური (90-იან წლებში) გია ღვალაძე და კობა ოთანაძე არიან ასახულები. ვიდეომასალის თანახმად, სწორედ, ისინი უწევდნენ ორგანიზებას სამხედრო ამბოხს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 5 მაისისთვის დაგეგმილი სამხედრო ამბოხი „რუსულ წრებთან“ იყო შეთანხმებული (მათგან დავალებებთან ერთად ფულსაც იღებდნენ) და ის, მინიმუმ, საქართველოში დაგეგმილი ნატოს სამხედრო წვრთნების ჩაშლას და, მაქსიმუმ – ქვეყანაში ფართომასშტაბიანი სამხედრო გადატრიალების მოწყობას ისახავდა მიზნად. ბრალდებულთა დიდი ნაწილი სამართალდამცავებმა 5 მაისსვე დააკავეს. ამბოხის ორგანიზატორობაში ეჭვმიტანილი პირები კი – 20 მაისს, გვიან ღამით.

შსს-ს განცხადებით, ამ უკანასკნელთა დასაკავებლად სპეცოპერაცია თბილისის მახლობლად, თიანეთის გზატკეცილზე, ჩატარდა. იმავე უწყების ოფიციალური ცნობის თანახმად, სპეცოპერაციის დროს ორმხრივ სროლაში დაიღუპა ერთ-ერთი ეჭვმიტანილი გია კრიალაშვილი. კრიალაშვილის ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარეს, მძიმედ დაზარებული ოთანაძე და ამირიძე კი ღუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაკავებულებს ბრალი 21 მაისს საავადმყოფოშივე წაუყენეს.

ეჭვმიტანილების აყვანამდე სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილთა ოჯახის წევრები დააკავეს. მუხროვანის ამბოხიდან ერთი კვირის თავზე, 12 მაისს, კობა ოთანაძის ძმას ნუგზარ ოთანაძეს, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით, ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

20 მაისს, გამთენიისას, სპეცრაზმელებმა საკუთარ სახლში აიყვანეს ოთანაძის მეორე ძმა, ჯიმშერ ოთანაძე, მისი მეუღლე გულო დარიძე და 19 წლის ვაჟი გიორგი ოთანაძე. სამართალდამცავებს „მოდულის“ შენობაში ოთანაძეების სულ 11 ნათესავი ჰყავდათ დაკავებული. ჯიმშერ ოთანაძე და მისი ოჯახის წევრები გლდანში ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ ბრალის წაყენების გარეშე გაათავისუფლეს.

როგორც აღვნიშნეთ, შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კრიალაშვილი პოლიციასთან გაწეული წინააღმდეგობის დროს ორმხრივი სროლის შედეგად გარდაიცვალა. გია კრიალაშვილის ცხედრის სახლში გადასვენების შემდეგ კი კრიალაშვილის მეუღლემ პრესის წინაშე განაცხადა, რომ მის მეუღლეს ნატყვიარი არ ჰქონდა, საექვოდ მიიჩნია ისიც, რომ მიცვალებულს ერთ ღღეში თავი გაუსივდა.

სამხედრო ამბოხში ეჭვმიტანილთა უმეტესობას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე და 316-ე მუხლებით აქვს წაყენებული.

საყურადღებოა, რომ 316-ე მუხლით კანონი მხოლოდით რიცხვში, პიროვნულად ჩადენილ დანაშაულზე საუბრობს, ე.ი დანაშაულზე, როცა ერთი ხელმძღვანელი უკანონოდ ჩაიდებს ხელში ძალაუფლებას ან უკანონოდ გადაადგილებს სამხედრო ტექნიკას. სამხედრო ტექნიკის გადაადგილება კი ხელმძღვანელის ბრძანებით შეუძლია მხოლოდ სამხედრო პირთა ჯგუფს და, შესაბამისად, ჩადენილი დანაშაულიც ჯგუფური გამოდის, მით უმეტეს, რომ ამ დანაშაულში ბრალი არა ერთ ხელმძღვანელს, არამედ ცხრას წაყენება. 316-ე მუხლი კი ჯგუფურ დანაშაულს არ ითვალისწინებს. ამდენად, ამ მუხლით ბრალის წაყენება ხოხაშვილისთვის უკანონოა.

---

<sup>7</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=4071&lang=en>

2 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა ადვოკატის შუამდგომლობა აღმკვეთი ღონისძიების - პატიმრობის უფრო მსუბუქი სახის ღონისძიებით - გირაოთი შეცვლის შესახებ. საქმის მასალები 21 ტომში იყო განთავსებული. 11-საათზე შუამდგომლობა უკვე სასამართლოში იდო. საღამოს 6-ის ნახევარზე სასამართლოს დადგენილება ადვოკატის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ უკვე მზად იყო. გამოდის, იმდენად ყოჩაღი მოსამართლე იყო, რეკორდულად მოკლე დროში მოასწრო 21 ტომის წაკითხვა. დადგენილებაში მოსამართლე გოგინაშვილი აღნიშნავს: „გავეცანი საქმის მასალებს“. დადგენილებაში მოსამართლე ცრუობს, რადგან 6 საათში 21 ტომს არა მხოლოდ ვერ წაკითხავ, არამედ ვერც გადაფურცლავ. ცხადი იყო, რომ მოსამართლემ საქმის შეუსწავლელად დაწერა დადგენილება. დადგენილება გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში. საგამომიებო კოლეგიამ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს დადგენილება.

ეს და კიდევ სხვა უამრავი მაგალითები ადასტურებს იმას, რომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას სასამართლოს მხრიდან ადგილი აქვს კანონის საწინააღმდეგო დამოკიდებულებას, კანონის იმპერატიული მოთხოვნების უგულვებელყოფას, პროკურატურის მიერ შეტანილი შუამდგომლობები, ფაქტობრივად, განუხილველად კმაყოფილდება და ამის საწინააღმდეგოდ დაცვის მხარეზე გადააქვს იმის მტკიცების ტვირთი, რომ ესა თუ ის ღონისძიება არ უნდა იქნეს გამოყენებული, რაც ისევ და ისევ კანონის უხეში დარღვევაა.

## მართლმსაჯულების ორგანოდ პროკურატურის „დაკანონება“

სისხლის სამართლის საქმეების არსებითი განხილვის გარეშე გადაწყვეტის ჩვეული წესი - ეგრეთწოდებული „საპროცესო შეთანხმება“ - მნიშვნელოვან ეჭვებს იწვევს სისხლის სამართლებრივ წარმოებასა და სასამართლო დამოუკიდებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კანონმდებლობა საწინააღმდეგოს მოითხოვს, პრაქტიკაში ამგვარი შეთანხმებები ჩვეულებრივ ბრალდებულის ადვოკატის არსებითი მონაწილეობის გარეშე ფორმდება, თუმცა შეთანხმებაზე აუცილებლად ვნახავთ ადვოკატის ხელმოწერას, რომლითაც იგი თავის მონაწილეობას ადასტურებს - „ვესწრებოდი საპროცესო შეთანხმების დადებას ადვოკატი...“.

საპროცესო შეთანხმება მნიშვნელოვანი თანხების გადახდას გულისხმობს ბრალდების გაუქმების სანაცვლოდ.

ამასთანავე, კვლავ განსჯის საგნად რჩება, თუ სად მიდის ან როგორ კონტროლდება ის სოლიდარი თანხები, რომლის გადახდის სანაცვლოდაც, სხვადასხვა დანაშაულში ბრალდებული მაღალჩინოსნები თუ უბრალო მოქალაქეები სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სრულიად თავისუფლდებიან ან სასჯელი სხვადასხვა ფორმით უმსუბუქდებათ. დანაშაულში ბრალდებულთა მიერ საპროცესო გარიგებისას გადახდილი თანხის რაოდენობა გასაიდუმლოებულია.<sup>8</sup>

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ითვალისწინებს საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. მაშასადამე, მართლმსაჯულების ორგანოდ, სასამართლოს ნაცვლად, ფაქტიურად გვევლინება პროკურატურა. საპროცესო შეთანხმება იღებს პროკურორსა და ბრალდებულს (განსასჯელს) შორის. ამ შეთანხმებით პროკურორი ერთდროულად გვევლინება:

- *სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებლად*: ატარებს გამოძიებას, აგროვებს მტკიცებულებებს, პირს წარუდგენს ბრალს და იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას;
- *მოსამართლედ*: ის განსაზღვრავს სასჯელის ზომას, იღებს გადაწყვეტილებას პირის სასჯელისაგან გათავისუფლების თაობაზე და დასამტკიცებლად წარუდგენს სასამართლოს;
- *ადვოკატად*: საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, მას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება და მოითხოვოს ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) სასჯელის შემცირება, ბრალდების უმსუბუქება ან ნაწილობრივ მოხსნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს ფაქტობრივად რჩება ორი ალტერნატივა: შეასრულოს ნოტარიუსის ფუნქცია და საკითხის არსებითი შესწავლის გარეშე დაადასტუროს საპროცესო შეთანხმება; ან უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე, რაც პრაქტიკულად არ მომხდარა.

ვინაიდან, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ქართულმა მოდელმა სასამართლო ხელისუფლება ფაქტიურად უფუნქციოდ დატოვა, მოქალაქეთა სისხლისსამართლებრივი


---

<sup>8</sup> „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ OL-635, OL-636 წერილები.

დევნის საკითხში სამართალდამცავ ორგანოებს, მოქალაქეთა კანონის იგნორირებით, დევნისა და მათზე შეუზღუდავი ძალადობის ბერკეტები მიეცა. ამას ადასტურებს შემდეგი გარემოებები:

- პროკურატურას ნებისმიერი პირის მიმართ შეუძლია აღკვეთის ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის მოთხოვნა და როგორც სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს მოთხოვნა სასამართლოს მიერ ფაქტიურად გამონაკლისის გარეშე კმაყოფილდება;
- პირის დაკავებიდან სამივე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვას შეიძლება წლები დასჭირდეს. აღნიშნული საშუალებას აძლევს პროკურატურას წლობით პატიმრობაში ყოფნით აიძულონ ბრალდებული (განსასჯელი), ხელი მოაწეროს საპროცესო შეთანხმებას პროკურატურისათვის ხელსაყრელი პირობებით;
- ამასვე ადასტურებს სასამართლო პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც, სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობა სწორედ საპროცესო შეთანხმებით სრულდება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, 2005-2009 წლებში (2009 წწ. იანვარი-თებერვალი) 23 175 სისხლის სამართლის საქმეზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.<sup>9</sup>




საერთო სასამართლოებში 2005-2009 წწ. (2009 იანვ. - თებერვ.) შესულ საქმეთა საერთო რაოდენობიდან (64 217) საპროცესო შეთანხმება გაფორმდა 23 175 სისხლის სამართლის საქმეზე, რაც საერთო რაოდენობის 36 % წარმოადგენს.

<sup>9</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში საპროცესო შეთანხმების შესახებ

მხოლოდ ორი, 2006-2007 წლების მონაცემთა შედარებით ნათლად ჩანს რამდენად გაიზარდა საპროცესო შეთანხმებით განხილულ სამქტა რაოდენობა.

საქართველოს ინსტიტუციის საპროცესო შეთანხმებით განხილული საკმეები (პროცენტი სულ განხილული საკმეებისა)



2004 წელს საქართველოში შემოღებული საპროცესო შეთანხმება საქართველოს მოქალაქეებს არათანაბარ პირობებში აყენებს. მოსამართლეებს და პროკურატურას თვითნებურად, საკუთარი სიმპათიებიდან გამომდინარე, შეუძლიათ გააფორმონ ან არ გააფორმონ საპროცესო შეთანხმება.

ამაზე თუნდაც საქართველოს სისხლის სამართლებრივი პრაქტიკიდან ორი მაგალითი მეტყველებს:

### გიორგი ჩიქოვანის საქმე<sup>10</sup>

პროკურატურის მიერ წარდგენილი საბრალდებო დასკვნის მიხედვით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს სწრაფი რეაგირების განყოფილების ოპერატიული თანამშრომელი, გამომძიებელი გიორგი ჩიქოვანი 28 აგვისტოს ღამეს, სახლში მოქალაქე ს. წ.-ს შეეჭრა და განსაკუთრებული სისასტიკით გააუპატიურა: „ჩიქოვანმა წ.-ს რამდენჯერმე დაურეკა პირად ტელეფონზე და მოსთხოვა სქესობრივი კავშირის დამყარება. წ.-მ კი მობილური ტელეფონი გათიშა და დაიმედებულმა იმით, რომ ჩიქოვანი მას ვეღარ შეაწუხებდა, დაიძინა. ამის შემდეგ ჩიქოვანმა გადაწყვიტა, ქალის ნების საწინააღმდეგოდ ბინაში შესულიყო და სქესობრივი კავშირი დაემყარებინა. მან თავზე ნიღაბი ჩამოიცვა, მეოთხე სართულზე აძვრა და ბინაში აივნიდან შევიდა. ნიღბის მოხსნის შემდეგ, როცა დანის დემონსტრირებით მიზანს ვერ მიაღწია, თავისი განზრახვა განსაკუთრებული სისასტიკით მოიყვანა სისრულეში. ამისათვის მან დაზარალებულს სცემა თავისა და ტანის არეში, რის შედეგადაც მას განუვითარდა ტვინის შერყევა, ქვედაყბის ძვლის მოტეხილობა, ორივე თვალბუდის მრავლობითი სისხლნაჟღერებები. გიორგი ჩიქოვანმა გადალახა რა ს.წ.-ის წინააღმდეგობა, ამ

<sup>10</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=2849&lang=ge>

მდგომარეობაში მყოფი ადვილად დაიმორჩილა და მისი ნების საწინააღმდეგოდ დაამყარა სქესობრივი კავშირი ძალადობით და განსაკუთრებული სისასტიკით,“ - წერია საბრალდებო დასკვნაში.

მიუხედავდ იმისა, რომ ჩიქოვანს საკმაოდ მძიმე დანაშაული ედებოდა ბრალად, სახელმწიფო ბრალდებასა და კუდის ყოფილ თანამშრომელს შორის მაისის ბოლოს საპროცესო შეთანხმება მაინც გაფორმდა.

### **ტაბალუას საქმე<sup>11</sup>**

მოქალაქე ზაურ გონაშვილი პანკისის ხეობაში გაიტაცეს, ავტომატური იარაღით დაჭრეს. გატაცების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი მერაბ ტაბალუა იყო. ამის მიუხედავად, მასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა და 30 ათასი ლარის სანაცვლოდ გამოუშვეს. აღსანიშნავია, მერაბ ტაბალუას ადვოკატმა იშუამდგომლა, რომ გირაოს სახით 50 ათასი ლარი გადაეხადა. სასამართლომ ამაზე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ მერაბ ტაბალუა გამოძიებას ხელს შეუშლიდა. ამის შემდეგ კი მასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა და 30 ათასად საერთოდ გაათავისუფლეს.

### **X საქმე<sup>12</sup>**

X-მა 151 ლარისა და ოცი თეთრის ღირებულების საწვავი მოიპარა. აღნიშნული ფაქტი დიდ ოდენობად ჩაითვალა, რადგან 150 ლარს ლარითა და ოცი თეთრით აღემატებოდა. მასთან საპროცესო შეთანხმება 10 ათასი ლარის სახით გაფორმდა. თან თავისუფლების აღკვეთის სახით ოთხი წელი მიესაჯა. აქედან ორწელიწადნახევარი სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში უნდა მოხადოს, დანარჩენი კი, სანიმუშო ყოფა-ქცევის შემთხვევაში, პირობითად ჩაეთვლება.

---

<sup>11</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=2849&lang=ge>

<sup>12</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=2849&lang=ge>



\*\*\*

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ საპროცესო შეთანხმების პირობები დაუზუსტებელი და ბუნდოვანია - ადამიანმა 10 ათასი ლარი გადაიხადა 151 ლარის ღირებულების საწვავის გამო, მაშინ, როდესაც მეორემ გატაცებისა და დაჭრის გამო 30 ათასი ლარის სანაცვლოდ საერთოდ გაათავისუფლეს. თან დაზარალებული არ არის დაცული, რადგან არ აქვს გარანტია, რომ ასე იოლად გაათავისუფლებული დამნაშავე, კვლავ არ შეეცდება მისი სიცოცხლის ხელყოფას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აუცილებელია დაზუსტდეს რა დანაშაულზე არ შეიძლება საპროცესო შეთანხმების გაფორმება. მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში თუ გაფორმდება საპროცესო შეთანხმება, უნდა იყოს გათვალისწინებული, რა სამართლებრივი ღირებულების სიკეთე იქნა გადარჩენილი ან გამოკვეთილი.

*ებლა კი ვნახოთ თუ რა ბედი ეწია მოსამართლეს, რომელმაც პროკურატურის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა:*

### **გიორგი გოგიჩაშვილის საქმე<sup>13</sup>**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გიორგი გოგიჩაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა დაიწყო. მოსამართლე გოგიჩაშვილმა, რამდენიმე დღის წინ, არ დააკმაყოფილა კახეთის საოლქო პროკურატურის შუამდგომლობა და კოტე კაპანაძეს წინასწარი ორთვიანი პატიმრობის ნაცვლად, 20 ათასი ლარის ოდენობით გირაო შეუფარდა.

მოგვიანებით, კახეთის საოლქო პროკურატურამ თელავის რაიონული სასამართლოს ბრძანება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და მისი გაუქმება მოითხოვა. სააპელაციო სასამართლომ რაიონული სასამართლოს მოსამართლის ბრძანება გააუქმა და კოტე კაპანაძეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ოფიციალური ცნობით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლის დისციპლინურ დევნას საბჭოში შესული განცხადების საფუძველზე იწყებს. საბჭოს ინფორმაციით, მოსამართლის დისციპლინურ დევნასთან დაკავშირებული ინფორმაცია კონფიდენციალურია.

---

<sup>13</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=3948&lang=ge>

\*\*\*

როგორც ცნობილია, 2005 წელს სასამართლო სისტემაში დაწყებული რეფორმის ერთ-ერთი მიმართულება იყო სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის შემუშავება, რომლითაც განხორცილდებოდა არამხოლოდ ცვლილებები, არამედ ფუნდამენტურად შეიცვლებოდა სამართლო პროცესის მიმდინარეობა და საქმის განხილვის პრინციპები, რაც უნდა გამხდარიყო საფუძველი სამართლიანი, ეფექტური და საზოგადოების ნდობით აღჭურვილი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებისთვის სისხლის სამართლებრივი საქმეების სფეროში (აღნიშნული პროექტი საქართველოს პარლამენტის მიერ ორი მოსმენით უკვე მიღებულია და ნაკლებად მოსალოდნელია მესამე მოსმენით მიღებამდე რაიმე არსებითი შინაარსის ცვლილება შევიდეს მასში). ამ რეფორმირებულ კოდექსში, მოქმედი კოდექსის მსგავსად, ასახვა ჰპოვა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა. თუმცა, პესიმისტური განწყობის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ფაქტობრივად ცვლილების გარეშე იქნა გადმოტანილი ეს ინსტიტუტი მოქმედი კოდექსიდან და უფრო მეტიც, ახალ საპროცესო კოდექსში განხორცილებული სხვა ცვლილებებიდან გამომდინარე, ერთი-ორად გაიზარდა საპროცესო შეთანხმების კანონის შეუსაბამოდ და ზემოთ აღნიშნული არაკანონიერი გზით გამოყენების შესაძლებლობა, რასაც განაპირობებს შემდეგი გარემოებები:

საპროცესო შეთანხმება გათვალისწინებულია აღნიშნული პროექტის XXI თავით. აღსანიშნავია, რომ ამ ინსტიტუტს დღეს მოქმედი კოდექსისაგან თითქმის არაფერი განსხვავებს და არსებითად ერთი და იგივე შინაარსის მატარებელი არიან. მათ შორის არის მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო ხასიათის განსხვავება კერძოდ:

1. დღეს მოქმედი კოდექსის მიხედვით, საპროცესო შეთანხმების შეთავაზება სასამართლოს მხარეებისთვის შეუძლია სასამართლო კამათის დაწყებამდე. მსგავს შეზღუდვას არ ითვალისწინებს ახალი პროექტი და ზოგადად მიუთითებს, რომ სასამართლოს აქვს უფლება მხარეებს შესთავაზოს საპროცესო შეთანხმების დადება. რა ეტაპამდეა ეს შესაძლებელი, ამის მოწესრიგებას კანონმდებელი არ გვთავაზობს. ანუ, გამოდის, რომ საპროცესო შეთანხმების დადება შესაძლებელია განაჩენის გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე; D
2. არც ისე მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მოქმედი კოდექსის 6793–ე მუხლის მეოთხე ნაწილი ითვალისწინებდა, რომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს სხდომის მიმდინარეობა სიტყვა-სიტყვით დაფიქსირებულიყო სასამართლოს სხდომის ოქმში. მსგავს დათქმას არ ითვალისწინებს ახალი კოდექსის პროექტი, რაც გარკვეულწილად ხარვეზადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ასეთი სიზუსტით შედგენილი სასამართლო სხდომის ოქმი გარკვეულწილად იძლეოდა იმის შემოწმების შესაძლებლობას, რამდენად ობიექტურად და სამართლიანად მოხდა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო სხდომის ჩატარება;
3. კიდევ ერთი განსხვავება, რაც გვხვდება არის ის, რომ განსხვავებით დღეს მოქმედი კოდექსისაგან, სამომავლო კოდექსის პროექტში არ გვხვდება სპეციალური დათქმა, რომელიც გათვალისწინებულია მოქმედი კოდექსის 6797–ე მუხლის მესამე ნაწილში. კერძოდ, ის, რომ სასამართლოს განაჩენი შეთანხმების დამტკიცების შესახებ შესაძლებელია გადაისინჯოს ზოგადი წესის მიხედვით ახლადადმოჩენილი ან ახლადგამოვლენილი გარემოების გამო;

4. მეოთხე და ბოლო განსხვავება არის ის, რომელიც გამოდინარეობს ზოგადად ახალი კოდექსის მიხედვით არჩეული მიმართულებიდან, რაც მდგომარეობს მხარეთა რიგებიდან დაზარალებულის ამოღებაში. კერძოდ, ახალი კოდექსის პროექტით, არ არის გათვალისწინებული მოქმედი კოდექსის 6788--ე მუხლის პირველი ნაწილის მსგავსი დებულება, რომლის მიხედვითაც, პროკურორი ვალდებული იყო დაზარალებულისთვის შეეტყობინებინა საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ. ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ცვლილება წარმოადგენს დაზარალებულის უფლებების სერიოზულ დარღვევას, თუმცა, როგორც ვთქვი, ამას განაპირობებს ზოგადად ახალი კოდექსის ავტორების მიერ აღებული მიმართულება. აღნიშნულის გარდა, შეიძლება ითქვას, ერთი სიტყვაც კი არ არის შეცვლილი ახალი პროექტით. როგორც ჩანს, არ არის გათვალისწინებული და გამოსწორებული ის ხარვეზები, რომლებზეც ზევით იყო საუბარი და რაც საქართველოში დღეს არსებული ზოგადი სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით იძლევა იმის საფუძვლიანი ვარაუდის საშუალებას, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოყენება პრაქტიკაში მოხდება ისევე დამახინჯებულად, ადამიანის კონსტიტუციით და საერთაშორისო შეთანხმებებით გარანტირებული უფლებების სერიოზული დარღვევის ხარჯზე. შეიძლება ითქვას და საფუძვლიანიცაა, რომ ის პრობლემები, რაზეც ზემოთ იყო საუბარი სრულადაა ისევ შენარჩუნებული და არ გამოსწორებულა ახალი საპროცესო კოდექსის პროექტით.

თუმცა, ზემოაღნიშნულ პრობლემებს დაემატა კიდევ ერთი და შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ისევ და ისევ ახალი საპროცესო კოდექსის “პოლიტიკის” შედეგია. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ როგორც ვიცით, ახალი პროექტით შემოღებულ უნდა იქნეს მაქსიმალურად შეჯიბრებითი პროცესი, რის გამოც მოხდა გარკვეული ცვლილებები მთელ რიგ სისხლის სამართლებრივ საპროცესო ინსტიტუტებში, კერძოდ, მაგ: მოწმე აღარ არის ვალდებული მისცეს ჩვენება წინასწარი გამოძიებისას და მის მიერ ჩვენების მიცემა სავალდებულოა მხოლოდ სასამართლო განხილვის დროს. გართულებულია მტკიცებულებების მოპოვება და, საერთოდაც თუ მივმართავთ ახალი კოდექსის პროექტს, წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული “მტკიცებულებები” არ წარმოადგენს მტკიცებულებას; მტკიცებულებაა მხოლოდ სასამართლო სხდომაზე წარდგენილი და გამოკვლეული ფაქტები და ინფორმაცია. დაუშვებელია დაკითხვის ჩატარება ან მოწმის დავალდებულება, მისცეს ჩვენება. ის ჩვენებას იძლევა მხოლოდ სასამართლოში მას შემდეგ, რაც დადებს ფიცს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სრულიად შესაძლებელია წინასწარი გამოძიება ჩატარდეს ისე, რომ არ მოხდეს საქმის ყოველმხრივი, ობიექტური და სრულყოფილი გამოძიება და შესწავლა, ვერ მოხდეს საქმის გარემოებების ობიექტურ რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულად აღდგენა, რადგან კანონი არ ითვალისწინებს მოწმის მიერ ჩვენების სავალდებულოდ მიცემას წინასწარი გამოძიებისას, ამასთანავე, საპროცესო შეთანხმების დადებისას სასამართლოს არ აქვს უფლება მოახდინოს საქმის არსებითი განხილვა, დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება პროცესზე მოწმეების დაკითხვით, მხარეთათვის მტკიცებულებების გამოთხოვაში დახმარებით. ამიტომ, სასამართლოს განაჩენი, თავისი შინაგანი რწმენა ბრალდების დასაბუთებულობაზე უნდა ჩამოუყალიბდეს მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ წარმოდგენილ შუამდგომლობაში მოყვანილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ეს იმ პირობებში, როცა სასამართლო არც კი ახდენს ამ მტკიცებულებების უშუალო გამოკვლევას და შემოიფარგლება მხოლოდ მათი მოპოვების კანონიერების შემოწმებით (თუმცა, კანონი არც ამ უკანასკნელ მოვალეობას უდგენს სასამართლოს ნათლად და კონკრეტულად ერთი რომელიმე მუხლით საპროცესო შეთანხმების თავში) ასეთი ფორმით შემოწმებული მტკიცებულებების საფუძველზე განაჩენის გამოტანით, რომლითაც ხდება პირის დამნაშავედ ცნობა, ირღვევა სისხლის სამართლის ერთ-ერთი

ფუნდამენტური, კერძოდ უშუალოდ პრინციპი, რომლის თანახმადაც, სასამართლოს განაჩენი განსაკუთრებით კი გამამტყუნებელი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სასამართლოს მიერ უშუალოდ სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს. ხოლო, როგორც ვთქვი, საპროცესო შეთანხმების დადებისას სასამართლო არ ახდენს წარმოდგენილი მტკიცებულებების უშუალო განხილვას და გამოკვლევას. ყოველივე ზემოაღნიშნულმა შედეგად შეიძლება წარმოშვას ორი პრობლემა, კერძოდ, პირველი ის, რომ შესაძლებელია ბრალდების მხარის მიერ ბრალდებულზე (განსასჯელზე) მოხდეს ისეთი სახის ზეწოლა, რომელიც ერთი შეხედვით, არ არღვევს კანონს და მოხდეს მისი დაყოლიება; დაეთანხმოს ასე არასრულყოფილად და არაყოველმხრივ გამოკვლეული საქმის მასალებს და ცალმხრივი მტკიცებულებების საფუძველზე აღიაროს დანაშაული და დადოს საპროცესო შეთანხმება, მაგ: ბრალდებულის გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებით, მისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებით და ა.შ. შესაძლებელია, მხარემ არასათანადოდ დაცვის გამო და ახალი კოდექსით შემოღებული შეჯიბრებითობის პირობებში ვერ მოახერხოს თავის სათანადოდ დაცვა, მოექცეს ბრალდების მხარის გავლენის ქვეშ და დაეთანხმოს მისთვის, ერთი შეხედვით, “ხელსაყრელ პირობებს“ და მოახდინოს ბრალზე ან სასჯელზე შეთანხმება. გვარდა ამისა, სრულიად შესაძლებელია, მოხდეს მეორე შემთხვევაც - ანუ სასამართლოს შეყვანა შეცდომაში და მართლმსაჯულების ინტერესის დარღვევა ისეთი შემთხვევით, როცა პირი ნამდვილად უდანაშაულოა, მაგრამ მას გარკვეული მიზეზების გამო სურს დანაშაულის თავის თავზე აღება, რითაც ხელს შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას. მაგ: შეგნებულად არ მოიპოვა გამამართლებელი მტკიცებულებები; შეგნებულად შექმნა ისეთი გარემოებები, რომ მოხდეს საქმის არასრული გამოძიება და მოპოვებულ იქნას მხოლოდ მისი მამხილებელი მტკიცებულებები, რომლებიც ერთი შეხედვით, საკმარისი იქნება მისი ბრალეულობის დასადასტურებლად იმ ფონზე, როცა არ მოხდება მისი გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვება და წარდგენა სასამართლოსთვის. საბოლოო ჯამში, უნდა ითქვას, რომ ახალი კოდექსის მსგავსი სახით ჩამოყალიბების პირობებში ამ ინსტიტუტის ისევ ძველი რედაქციით, უცვლელად დატოვება და ახალი კოდექსის პირობებთან შესაბამისობაში არმოყვანა კიდევ უფრო ზრდის მისი არასათანადოდ გამოყენების შესაძლებლობას, რითაც შესაძლებელია მოხდეს არამართო ბრალდებულის უფლებების შელახვა, არამედ დიდი შანსია, სასამართლოც შეცდომაში იქნას შეყვანილი და ამით მოხდეს მართლმსაჯულების და დამნაშავის სათანადოდ დასჯის, მის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების აღსრულებით საჯარო ინტერესის არსებითი შელახვა. ანუ შესაძლებელია საპროცესო შეთანხმების დადებით, განსაკუთრებით კი ახალი კოდექსის პირობებში, “თემიდა მართლაც დაბრმავდეს“, რადგან ამის შესაძლებლობას იძლევა არამართო არასწორი გზით განვითარებული პრაქტიკა, არამედ ეს ეხლა უკვე გარკვეულწილად შესაძლებელი გახდა საკანონმდებლო დონეზეც, კანონში არსებული გარკვეული ხარვეზის და საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შეცვლილი კოდექსის პირობებთან შესაბამისობაში არ მოყვანის გამო, რაც დაუშვებელია და ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს, სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციით განმტკიცებულ პრინციპს.

როგორც ჩანს, ამ მხრივ გამოსწორებას არც მომავალში უნდა ველოდოთ და რეფორმის ეს ნაწილიც არათუ დადებითი, არამედ ნეგატიური შედეგების მომტანი შეიძლება იყოს.

## სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა და მიუკერძოებლობა

2007 წლის ივლისში, 117 ხმით 18-ის წინააღმდეგ საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილება მიიღო, რომელმაც სასამართლოს შენობასა და სასამართლოს სხდომათა დარბაზში ფოტო-კინო-ვიდეოგადაღება აკრძალა თითქოს იმისთვის, რომ მომხდარიყო პროვოკაციებისა და სპექტაკლების თამაშის პრევენცია კამერების წინ და ხელი შეეწყოს საქმეების მიუკერძოებელი განხილვისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამან სამართალწარმოების გამჭვირვალობისა და შესაბამისად, სასამართლო კორპუსისადმი საზოგადოებრივი ნდობის შემცირება გამოიწვია.

სასამართლო უწყების წარმომადგენლები აღნიშნულ აკრძალვას მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევენ და თვლიან, რომ „დარბაზში ტელეკამერებით შესვლის აკრძალვის შემდეგ სასამართლო პროცესები უფრო მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს. მათი თქმით, ჟურნალისტები პროცესებზე არიან, უბრალოდ, ტელეკამერებით აღარ შედიან. შედეგად კი, ის რამდენიმე ადამიანი, რომელიც პროცესებზე სისტემატურად დადიოდა იმისთვის, რომ შოუ მოეწყო, აღარ დადის და სიტუაცია დამშვიდდა“ და „ეს სასამართლოს მუშაობაზე დადებითად აისახება“.<sup>14</sup>

თუმცა, ეს ასე არ არის: სისხლის სამართლის #1/122-08 საქმეზე სააპელაციო სასამართლოში განსასჯელის ინტერესების დამცველის შუამდგომლობა, განხორციელებულიყო საქმით დაინტერესებული ჟურნალისტების მიერ აუდიო ჩაწერა, არ დააკმაყოფილა უსაფუძვლოდ. გამოდის, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში არსებული ნორმა,<sup>15</sup> რომლის თანახმადაც, სასამართლო სხდომის დარბაზში დაიშვება აუდიოჩაწერა სასამართლოს (მოსამართლის) მიერ, არის ფორმალური.

სასამართლო სხდომებზე მხოლოდ აუდიო და სტენოგრაფიული ჩაწერაა ნებადართული, თუმცა მოსამართლეს უფლება აქვს მოტივირებული გადაწყვეტილებით ესეც აკრძალოს.

აღნიშნული ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული საჯაროობის პრინციპის შეზღუდვაა. ყოველი სასამართლო პროცესი ღიად და საჯაროდ უნდა განიხილებოდეს. მართალია, არის შემთხვევები, რომლებიც ითვალისწინებს დახურული სასამართლო პროცესის ჩატარებას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც განაჩენი საჯაროდ უნდა გამოცხადდეს. პროცესის საჯაროობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე აღნიშნული სასამართლო პროცესის ფოტო, კინო, ვიდეო გადაღება და აუდიო ჩაწერა მოხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებაში ყოველთვის იარსებებს ეჭვი იმის შესახებ, რომ ის კადრები, რომლებიც მხოლოდ თავად სასამართლოს მეშვეობით გავრცელდა, შეიძლება დამონტაჟებული იყოს და მან რეალურად არ ასახოს მოვლენები.

სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა, საჯაროობა და საზოგადოებასთან ურთიერთობა რეფორმის წარმატების ძირითადი პირობა უნდა ყოფილიყო. სასამართლოსა და საზოგადოების ურთიერთობა უფრო ფართო და მრავალმხრივი უნდა იყოს. საზოგადოებამ უფრო მეტი უნდა იცოდეს სასამართლოს შესახებ. სასამართლო სისტემაში მიმდინარე ყველა ცვლილება

<sup>14</sup> <http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=9333&lang=geo>

<sup>15</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 12 (4)

საზოგადოების განსჯის საგანი უნდა გახდეს, საზოგადოებამ თავის რეფორმის მონაწილედ უნდა იგრძნოს, რათა გაუჩნდეს პასუხიმგებლობის გრძნობა ამ პროცესის მიმართ.

## გურამ შარაძის საქმე<sup>16</sup>



აკადემიკოს გურამ შარაძეს 2007 წლის 20 მაისს თბილისში, მელიქიშვილისა და შანიძის ქუჩების გადაკვეთაზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან სამჯერ ესროლეს. მიყენებული ჭრილობების შედეგად, იგი ადგილზევე გარდაიცვალა. მკვლელობა დაახლოებით 20 საათსა და 30 წუთზე მოხდა და მას ჰყავდა მოწმეები, მათ შორის, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები: ლევან ბოჭორიშვილი და რობერტ პანიევი. შესაბამისი კადრები მელიქიშვილის გამზირზე მდებარე სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ ვიდეოთვალმაც ასახა.

„ალდაგის“ სათვალთვალო კამერით გადაღებული ვიდეოფირი, რომელიც გურამ შარაძის მკვლელობას ასახავს, საქმეში არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

დეტალი, სასამართლომ მტკიცებულებად არ ცნო იმ არგუმენტით, რომ ფირი ექსპერტიზისთვის უვარგისია.

არადა, ვიდეოფირი ამტკიცებს იმას, რომ მკვლეელი ბარათელისგან განსხვავებული გარეგნობის არის. ვიდეოფირის კადრები შემდეგს ასახავენ: ჭადრათმიან კაცს, ანუ გურამ შარაძეს, უკან მიჰყვება მასზე მაღალი, მხარბეჭიანი, სპორტული აღნაგობის პიროვნება, რომელსაც აქვს დამახასიათებელი შავი თმა, არის ბარათელის გარეგნობისგან სრულიად განსხვავებული. ბარათელი არის დაბალი, დაახლოებით 165 სმ-ის, ეს პიროვნება კი - 175 სმ-ზე მეტი, რადგან შარაძეზე მაღალია. პიროვნება კადრში ჩნდება 20:30:56 სთ-ზე. აღნიშნული პირი 20:31:28 სთ-ზე ჭადრათმიან მამაკაცს ესვრის. აღსანიშნავია, რომ ამ დროს, მისი კადრში შემოსვლიდან ზუსტად 32 წამში, კადრში ჩნდება ავტომანქანა, რომელიც რჩება ადგილზე 20:34:46 სთ-მდე. იღება მანქანის უკანა კარი, გადმოდის პიროვნება, რომელიც ელაპარაკება მასთან მისულ მეორე პიროვნებას.

ვიდეოფირის ნივთმტკიცებად ცნობა კიდევ ერთ დეტალს ახდინდა ფარდას: გიორგი ბარათელი აღიარებით ჩვენებაში ამბობს, რომ ქუჩაში სეირნობდა, როცა დაინახა მისი საწინააღმდეგო მიმართულებით მომავალი გურამ შარაძე, ცოტათი გასცდა კიდეც... მერე... „მე გავჩერდი ერთი-ორი წამი, მერე შემოვტრიალდი, გავყევი და ვესროლე.“

გურამ შარაძის მკვლელობის მოტივად თბილისის საქალაქო სასამართლომ, მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილის ხელმძღვანელობით, შემდეგი არგუმენტი დაასახელა: გიორგი ბარათელმა გურამ შარაძეს იმიტომ ესროლა, რომ განაწყენებული იყო. ამ უკანასკნელმა და მისმა შვილმა - გიორგი შარაძემ პირად ცხოვრებაში პრობლემები შეუქმნეს. რამდენიმე წლის წინ გიორგი ბარათელი და გიორგი შარაძე ერთად იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ. შარაძემ ბარათელი მიატოვა და თავად საქართველოში დაბრუნდა. მკვლელობა მას წინასწარ დაგეგმილი არ ჰქონია. გადაწყვეტილება მიიღო უეცრად, როცა მელიქიშვილის ქუჩაზე შემთხვევით შეხვდა გურამ შარაძეს.

<sup>16</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=3478&lang=ge>

მკვლელობის მოტივი სასამართლომ დაადგინა ბარათელის აღიარებითი ჩვენების საფუძველზე (აგრეთვე იმ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, რომელთა შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ და რომლებიც უამრავ წინააღმდეგობას შეიცავს). მაგრამ ეს აღიარება არ არის გამყარებული მტკიცე არგუმენტებით, პასუხგაუცემელი რჩება კითხვა: რატომ ჩათვალა ეს აღიარება სასამართლომ მტკიცებულებად?

ჩვენებების მიხედვით, გიორგი შარაძესთან გიორგი ბარათელი შვეიცარიაში 2000 წელს წავიდა შარაძის მიწვევით ნოე ჟორდანიასზე დოკუმენტური ფილმის გადასაღებად ოპერატორის სტატუსით და ანაზღაურების პირობით.

გიორგი ბარათელის ძმა, მამუკა ბარათელიც, აგრეთვე ბიძა, როლანდ გრიქუროვი, შვეიცარიაში გიორგი ბარათელის წასვლის მიზეზად ასახელებენ ფილმის გადაღებას. მაგრამ სასამართლო საქმეში არსებობს სპეციალური მასალა, ბარათელთან საუბრის ფარული ჩანაწერი. გიორგი ბარათელი შვეიცარიაში წასვლის მიზეზს აქ სხვაგვარად განმარტავს: „96-ში გავიცანი მაგის (იგულისხმება გურამ შარაძე. ავტ.) შვილი გიორგი, მერე დავმეგობრდით, მერე წამიყვანა, ჩემთან იქნებო. ცოლს დავშორდიო, რაღაცაო და წამოდიო.“

სამართლიან სასამართლოს უნდა დაედგინა, ნამდვილად იღებდა თუ არა იმ პერიოდში (2000 წელს) გიორგი შარაძე ნოე ჟორდანიასზე დოკუმენტურ ფილმს; რომელი პროექტის ფარგლებში მზადდებოდა ფილმი? იყო თუ არა განსაზღვრული ოპერატორის ჰონორარი და როგორი ოდენობით? ამ საკითხების გარკვევის მიზნით მას შეეძლო, დაკავშირებოდა შვეიცარიაში საქართველოს საკონსულოს, სადაც მსგავსი ინფორმაცია ინახება; აგრეთვე შეეძლო, მოეძია შვეიცარიაში საქართველოს მაშინდელი კონსული. გიორგი შარაძე საკონსულოში კულტურის ატაშე გახლდათ და კონსული აუცილებლად გაიხსენებდა მის მიერ განხორციელებულ პროექტებს. კონსულის ან საკონსულოს მაშინდელი სხვა თანამშრომლების მოძიებას ის აზრიც ექნებოდა, რომ ისინი ისაუბრებდნენ გიორგი შარაძის მაშინდელ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე - ბარათელი ხომ მას ფაქტობრივად ბრალს სდებს მკვლელობის განზრახვაში, თანაც მეტად პათოლოგიური ფორმით: თირკმელების ამოცლისა და გაყიდვის ორგანიზებაში!

სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ იმ პირის მოძიება, რომელმაც, გიორგი და მამუკა ბარათელების ჩვენებების მიხედვით, ჟენევაში მყოფ გიორგი შარაძესთან დააკავშირა ბარათელი. რატომ არ დაინტერესდა სასამართლო ამ პირის მოძიებით? დაადასტურებდა თუ არა იგი ბარათელის ჩვენებას? მისი მოწმედ დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობა ბარათელის ადვოკატებმა დააყენეს, სასამართლომ ადვოკატებს დააკისრა მისი პროცესზე მიყვანის ვალდებულება. ამ უკანასკნელებმა მალე უკანვე წაიღეს შუამდგომლობა არგუმენტით, რომ ვერ მოიძიეს კონკრეტული პიროვნება, რომლის ყველა საპასპორტო მონაცემი ცნობილია. თუმცა, არ წარმოუდგენიათ ძებნის დამადასტურებელი არცერთი საბუთი: თუნდაც წერილი უბნის ინსპექტორთან.

ეს არის მოწმე ალექსანდრა პირუმოვის ჩვენება: „2007 წლის 14 მაისს ბარათელის ბიძა როლანდ გრიქუროვი მოვიდა ჩემთან სახლში და მოიყვანა თავისი დისშვილი. მთხოვა, რომ გიორგის დეიდა ცუდად არის და ნემსებს რომ უკეთებენ, გიორგი ცუდად ხდებო. დავთანხმდი და დავიტოვე ჩემთან. „რუსთავი 2“-ში მუშაობდა. დილის 9-ზე გადიოდა სახლიდან და 15 საათზე ბრუნდებოდა. მის ხელში იარაღი არ შემინიშნავს. ერთხელ მთხოვა, რომ სჭირდებოდა ნაჭერი რაღაც ნივთის გასაწმენდად. 20 მაისს, 19-20 საათისთვის, დაურეკეს, რის შემდეგაც სწრაფად გავარდა. მითხრა, რომ მალე დაბრუნდებოდა. გიორგი ხმამაღლა ელაპარაკებოდა ვიღაცას. უთხრა, „აქ აღარ დარეკო.““

ვინ დაურეკა გიორგი ბარათელს? სად წავიდა ასე სასწრაფოდ? სასამართლოს ეს კითხვები არ დაუსვამს. ეს დრო ხომ ზუსტად ემთხვევა შარაძის მკვლელობის წინა, უახლოეს წუთებს? რატომ და ვისი მითითებით ცხოვრობდა იგი განცალკევებით შარაძის მკვლელობის წინა დღეებში? ვინ გაიყვანა იგი სახლიდან დაახლოებით იმ წუთებში (19-დან 20 საათამდე დროის შუალედში), როცა გურამ შარაძე საჯარო ბიბლიოთეკიდან გამოვიდა (სადაც იგი, როგორც ყოველთვის, იმ საღამოსაც გვიანობამდე მუშაობდა) და ფეხით გაემართა ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე სახლისკენ? თუ პირუმოვის ჩვენებას დავუჯერებთ,

ბარათელთან განხორციელებული საიდუმლო ზარიდან შარადის მკვლელობამდე ზუსტად იმდენი დრო გავიდა, რამდენიც ბარათელს მკვლელობის ადგილამდე მისაღწევად დასჭირდებოდა. ვინ და რა მიზნით მიიყვანა იგი მკვლელობის ადგილას?

## გამცემლის საქმე<sup>17</sup>

საქმის მასალებში 8 მაისს მომხდარი ფაქტი ასე აისახა: იმ ღამით აზუაშვილი და მისი მეწყვილე, ლევან ჯინიყაშვილი, ვერაზე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ. მათ სწრაფად მოძრავი BMW-ის ტიპის მანქანა შენიშნეს, რომელსაც გაჩერება მოსთხოვეს. მძღოლი არ დაემორჩილა. იგი ჭონქაძის ქუჩის მიმართულებით მოძრაობდა, შემდეგ ზანდუკელის ქუჩის მიმართულებით წავიდა; მაკდონალდის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ვერ დაიმორჩილა საჭე და მარცხენა მხარეს ბორდიურს შეეჯახა, რის შემდეგაც მანქანა გააჩერა, გადაირბინა იქვე მდებარე ავტოფარეხის სახურავზე და შეეცადა, მიმალულიყო ზანდუკელის ქუჩა N2-ში მდებარე ეზოში. პატრულის თანამშრომლები (აზუაშვილი-ჯინიყაშვილის წყვილი) მას მანქანით მიჰყვნენ, რის შემდეგ აზუაშვილი მანქანიდან გადმოვიდა და გამცემლიძეს დასაკავებლად დაედევნა.

საბრალდებო დასკვნაში ვკითხულობთ, რომ აზუაშვილს ეჭვი გაუჩნდა: შესაძლოა, გამცემლიძე შეიარაღებული ყოფილიყო, ამიტომ იარაღი მოიმარჯვა, საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა და გაქცეულის დაკავებას შეეცადა. მაკროვის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთი გაუფრთხილებელი გასროლით მან გამცემლიძეს კეფის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. გამცემლიძე საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

აზუაშვილს კიდევ რომ შესძლებოდა სასამართლოსთვის იმის დამტკიცება, თითქოს გაქცეული მოქალაქე სროლამდე სიტყვიერად გააფრთხილა, სასამართლოს მაინც უნდა დაეყენებინა საკითხი მის მიერ პოლიციის შესახებ კანონის მე-13 მუხლის მე-5 ნაწილის სრულყოფილად შეუსრულებლობის გამო. კანონში წერია: „ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს სიტყვიერი გაფრთხილება მისი გამოყენების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამაფრთხილებელი გასროლა.“

აზუაშვილის ჩვენებაში არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომლისთვისაც სასამართლოს ასევე არ მიუქცევია ყურადღება. იგი ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც გამცემლიძე ჩიხში შევიდა და წინ გასაქცევი აღარ ჰქონდა, უკან მობრუნდა და მისი მიმართულებით შეიარაღებული გამოემართა: „მოულოდნელად გამცემლიძე ჩიხიდან გამოვარდა და ჩემკენ წამოვიდა. ჩვენ შორის შეჯაჯგურება მოხდა. სწრაფი მოძრაობით მარცხენა ხელით მარცხენა მხარში ხელი მოვკიდე და ჩემკენ შემოვატრიალე ზურგით. კვლავ ვუბრძანე, რომ დაგვმორჩილებოდა, მაგრამ იგი წინააღმდეგობის გაწევას განაგრძობდა და ხელიდან გასხლტომას ცდილობდა. იმ დროს, როცა მის დაკავებას ვცდილობდი, გასროლის ხმა გავიგონე. წამიერად შეწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა. წაიქცა.“

ოთარ თენიშვილი შემთხვევის ადგილას მდგარ კორპუსში ცხოვრობს. წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში იგი ამბობს, რომ, როცა გასროლის ხმა გაიგონა, ფანჯარას მივარდა და გარეთ გაიხედა. შემთხვევის ადგილი კარგად იყო განათებული და მან გარკვევით დაინახა ავტოფარეხის წინ დაგდებული ადამიანის სხეული. ამავე ჩვენებაში იგი აზუსტებს: ეზო ისე კარგად იყო განათებული, რომ ამ შუქზე სამართალდამცავებმა იმ ღამეს ოქმიც ბრწყინვალედ შეადგინეს. ამდენად, მის მიერ დანახული დამაჯერებლად უნდა ჩაითვალოს.

---

<sup>17</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=3513&lang=ge>



მკითხველს ვთავაზობთ თენეიშვილის საუბრის აუდიოჩანაწერს: „იმ დამით გვიან დავექეი; ახლად ჩამინებული კი, ძლიერი შეჯახების ხმამ გამომადვილა. მაშინვე ფანჯარას ვეცი და ეზოში გავიხედე. დავინახე, ორი კაცი მაკდონალდსიდან ზემოთ, ზანდუკელის ქუჩისკენ, მორბის. ამ დროს გასროლის ხმა გავიგონე. ერთმა გზა გააგრძელა, მეორე კი ავტოფარეხის სახურავზე გადაძვრომას შეეცადა, გაიარა და სახურავიდან გადმოვარდა. საცვლებისამარა ვიყავი, ამიტომ სახლში შევედი, რომ ტანთ ჩამეცვა. როცა გამოვედი, დავინახე, გამცემლიძეს სამი პოლიციელი სტომატოლოგიური კლინიკისკენ მიათრევდა.“

თენეიშვილმა იგივე გაიმეორა სასამართლო პროცესზეც. მაგრამ პროკურორმა შენიშნა, რომ მოწმის მიერ წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებებს შორის განსხვავება იყო. მოითხოვა პირველი ჩვენების გამოქვეყნება. აღმოჩნდა, რომ თენეიშვილი თავდაპირველ ჩვენებაში ამბობდა, დავინახე, ავტოფარეხიდან გადმოვარდნილი ადამიანი ცოტას მოძრაობდაო. აგრეთვე ამბობდა, მისი გადაადგილების მომენტი არ დამინახავსო. არაფერს ამბობდა იმის შესახებაც, რომ ავტოფარეხის სახურავზე პოლიციელების მიერ იარაღის დაგდების ფაქტი დაინახა.

ერთი შეხედვით, თენეიშვილის მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენება დაზარალებულის სასარგებლოდ გამოიყურება, მაგრამ ეს - მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში, ჩვენების ზოგიერთი დეტალის შეცვლა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სასამართლოს იგი საერთოდ აღარ მიეღო მხედველობაში და დაზარალებულის მხარეს ერთადერთი საიმედო მოწმე დაეკარგა.

თენეიშვილის არაადეკვატურობას სასამართლომაც არაადეკვატურად უპასუხა. წესით, სასამართლოს, ბრალდების ან დაზარალებული მხარის შუამდგომლობით, ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების გამო თენეიშვილის სს პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაეყენებინა. თუმცა, შუამდგომლობა არც ერთ მხარეს არ დაუყენებია.

სასამართლოს არ გაუმახვილებია ყურადღება ძიების პირველივე ეტაპზე დაშვებულ უდიდეს დარღვევაზე. ეს შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას მოხდა. თუმცა, კანონის თანახმად, როცა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა ხდება, შემთხვევის ადგილზე ძებნას პროკურატურის თანამშრომლები ახორციელებენ, ამჯერად ასე არ მომხდარა. შემთხვევის ადგილი ორად გაყვეს. ეზო პროკურატურის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს, ავტოფარეხის სახურავი კი - შსს-ის თანამშრომლებმა, თუმცა ამის უფლება არ ჰქონიათ. რატომ მოიქცა ასე შსს? შესაძლოა, პროკურატურა არ წავიდა ყალბი ნივთმტკიცების შექმნაზე ან არსებულის გაქრობაზე? სამაგიეროდ, წავიდა გაჩუმებაზე, თუკი ამას შსს გააკეთებდა? ასე იყო თუ ისე, უკანონო დათვალიერებას შემთხვევის ადგილიდან მოკლულის კუთვნილი სათვალის გაქრობა მოჰყვა. ამის გამო გამომძიებელს მხოლოდ საყვედური გამოეცხადა.

როცა განაჩენი გამოცხადდა, დარბაზში ყველა მიხვდა, რომ მკვლელობის საქმე საბოლოოდ მკვლელის სასარგებლოდ დამთავრდა. ქვეყანაში გამოცხადებული ნულოვანი ტოლერანტობის ფონზე, რა თქმა უნდა, 2 წელი ადამიანის სიცოცხლის მოსპობისთვის, მართლაც რომ, მსუბუქზე მსუბუქი სასჯელია. აქვე, პროცესზე, რიგით მესამე პროკურორმა, კოტე ნიქაცაძემ, განსასჯელ აბუაშვილისთვის 4 წელი მოითხოვა. აქედან 2 - რეალური და 2-ც სასჯელის პირობითი ზომის მოხდით. მოსამართლემ სახელმწიფო ბრალმდებლის მოთხოვნა სრულად და მორჩილად დააკმაყოფილა.

სადავო დარჩა დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი. საქმე ის გახლავთ, რომ თავდაპირველად სისხლის სამართლის საქმე 114-ე მუხლით (მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით) აღძრეს; მოულოდნელად კვალიფიკაცია 116-ე მუხლით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) შეცვალეს.

აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევებში სასამართლოს დატოვებული აქვს თავის გასამართლებელი გზა: მოქმედი კანონმდებლობით, მოსამართლეს საქმის გამოძიებაში დაბრუნების უფლება არ გააჩნია. სს საპროცესო კოდექსის 446-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საქმის გამოძიებაში დაბრუნების უფლება მხოლოდ პროკურორს აქვს (2005 წლის 25 მარტამდე იგივე უფლება სასამართლოსაც ჰქონდა 452-ე

მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად. მოქმედი კანონმდებლობა ამ კუთხით სერიოზულ ხარვეზს შეიცავს, რადგან გამოდის, რომ, თუ პროკურატურას არ სურს, მოსამართლე სამართალს ვერ აღასრულებს).

## სასამართლო გადაწყვეტილებები და ზეწოლა

მიუხედავად კონსტიტუციური და სხვა სამართლებრივი გარანტიებისა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა, პროკურატურის და აღმასრულებელი ხელისუფლების ზეწოლა სასამართლოზე ჯერ კიდევ წარმოადგენს პრობლემატურ საკითხს მართლმსაჯულებისათვის. კანონის მიხედვით, „მოსამართლე დამოუკიდებელი უნდა იყოს საქმიანობისას და უნდა ექვემდებარებოდეს მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. მოსამართლეზე რაიმე ფორმის ზეწოლა, ან მის საქმიანობაში რაიმე ფორმით ჩარევა იმისათვის, რომ გავლენა მოხდეს მის გადაწყვეტილებაზე აკრძალულია და ისჯება კანონით.<sup>18</sup>

დღეს სასამართლოში ამოდ ცდილობენ კერძო მესაკუთრეები: აქციონერები, კერძო და იურიდიული პირები, წლების განმავლობაში საკუთრად მიჩნეული ქონება ხელისუფლების მტაცებლური გეგმებისგან დაიცვან.

*ქვემოთ მოყვანილი საქმე ამხელს ხელისუფლების მიერ სასამართლოსთვის დაწერილ ერთ სცენარს - როგორ მივიტაცოთ ხალხის ქონება:*

### „ქალაქშენის“ საქმე<sup>19</sup>

ამბავი ვაჟა-ფშაველას გამზირზე, № 16-ში, მდგარ მრავალსართულიან შენობის გარშემო დავას ეხება. მოდავე მხარეები სააქციო საზოგადოება „ქალაქშენი“ და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არიან. 2008 წლის 19 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ დავა სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაწყვიტა და შენობის ხუთი სართული მის მფლობელობაში დატოვა.

საქმის განხილვისას სასამართლომ არ გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლება კერძო იურიდიული პირის დასაცავად - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, შეეძლო საკუთარი ინიციატივით შეეგროვებინა მტკიცებულებები, თუკი ჩათვლიდა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისი იყო. აღსანიშნავია, რომ ეს უფლება აქვს მხოლოდ ადმინისტრაციულ სასამართლოს და საქართველოს მართლმსაჯულების ერთ-ერთ მონაპოვრად ითვლება, როგორც გარანტია საქართველოს მოქალაქისთვის კონსტიტუციის 21-ე მუხლით მინიჭებული საკუთრების უფლების დასაცავად.

ეს იყო 2005 წლის შემოდგომა. მათ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობას წარუდგინეს ქალაქის პროკურორის მიერ ხელმოწერილი წერილი, რომლითაც ითხოვდნენ „ქალაქშენის“ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას და რამდენიმე საკანონმდებლო აქტს. „ქალაქშენის“ ხელმძღვანელობას განუმარტეს, რომ საქმე ეხებოდა იმ შენობის წლების წინ ჩატარებულ პრივატიზაციას, რომელშიც ამჟამად სააქციო საზოგადოება იყო განთავსებული. პროკურატურის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ამ საფუძველზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე მშენებლობის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ.

<sup>18</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუცია, ასევე, ორგანული კანონი „საერთო სასამართლოებიშესახებ“

<sup>19</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=3595&lang=ge>

„ქალაქმშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მაშინ ნუგზარ ფეტელავა იყო, ხოლო დირექტორი - ლილი არობელიძე. საბუთების შესაგროვებლად მათ ერთი დღე მისცეს. ხელმძღვანელობამ დროულად წარუდგინა საბუთები პროკურატურას. ამის მიუხედავად, სანამ საქმის შესწავლას დაიწყებდა, პროკურატურამ მათ პირდაპირ მოსთხოვა (თანაც რამდენჯერმე), სასწრაფოდ დაეცალათ შენობა და სახელმწიფოსთვის გადაეცათ.

პროკურატურაში ერთ-ერთი ასეთი ვიზიტიდან მეორე დღეს ნუგზარ ფეტელავა გულის შეტევით გარდაიცვალა. პროკურატურამ შეამოწმა პრივატიზების ყველა დეტალი და ვერავითარი დარღვევა ვერ აღმოაჩინა. მოგვიანებით გამოვიდა კანონი ქონების ლეგალიზაციის შესახებ. „ქალაქმშენს“ ისევ დაურევს პროკურატურიდან და აცნობეს, სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილია და დადგენილება წაიღეთო. ეს დადგენილება „ქალაქმშენმა“ დღემდე ვერ მოიპოვა. მათ ეს დოკუმენტი, უბრალოდ, არ მისცეს.

„ქალაქმშენმა“ თავისი სამტატო ერთეულებით - 105 კაცით შეიძინა მთლიანი საწესდებო კაპიტალის 52,8 %, ანუ ნახევარზე მეტი. დანარჩენი ვერ იყიდა, რადგან მეტი თანხა თანამშრომლებს უბრალოდ არ ჰქონდათ. შემდეგ სახელმწიფომ დარჩენილი საწესდებო კაპიტალის 47% #2 საბარათო აუქციონზე გაყიდა (ეს აუქციონი საჯარო იყო). „ქალაქმშენმა“ მაღლივ შენობაში გადაიხადა 247 000 ამერიკული დოლარი, რაც იმდროინდელი ბიუჯეტისთვის არც ისე მცირე თანხა იყო.

ყველაფერი კანონის მიხედვით ხდებოდა: პრივატიზების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთებში: „მესაკუთრე“ და „მაცნე“. პროცესი დახურული არ ყოფილა, როგორც ამას ჯდამამე წერდა თავის წერილებში.

ამ მხრივ, საინტერესოა საქმეში არსებული კიდევ ერთი დოკუმენტი: საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს პასუხი „ქალაქმშენის“ მეთვალყურეთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის გურამ ქორქაშვილის სახელზე, სადაც წერია, რომ სააქციო საზოგადოება „საქქალაქმშენის“ საწესდებო აქციების 100% სახელმწიფოს მიერ გასხვისებულია და კერძო მფლობელობაშია. საინტერესოა, რატომ არ მიაქცია ამ ფაქტებს ყურადღება სასამართლომ.

არსებობს ერთი დოკუმენტი, რომელიც არაერთ კითხვას აჩენს და რომელსაც, პრაქტიკულად, დაეყრდნო სასამართლო, ეს არის ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 1994 წლის 25 აგვისტოს დადგენილება. ამ დოკუმენტის სამი ვარიანტი არსებობს. მათგან მხოლოდ ერთ, „ქალაქმშენის“ არქივში დაცულ დოკუმენტს აქვს ქონების მართვის მაშინდელი მინისტრის, ავთანდილ სილაგაძის, ხელმოწერა. მეორესა და მესამეში: საჯარო რეესტრისა და ეკონომიკის სამინისტროში დაცულ ასლებში კი ტექსტი ხელით არის ჩასწორებული და ერთმანეთს არ ემთხვევა, არც ერთ მათგანზე არ არის სილაგაძის ხელმოწერა. აღმაშფოთებელია, რომ სასამართლო ამ ხელმოწერეული ვარიანტებიდან, სწორედ, ერთ-ერთს დაეყრდნო.

ხელმოწერილ დადგენილებაში წერია, რომ „ქალაქმშენის“ ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობიდან მშენებლობის საქმეთა კომიტეტმა ოპერატიული მართვისთვის უნდა ისარგებლოს ხუთი სართულით. ერთ-ერთ ხელმოწერეულ დოკუმენტში, კერძოდ, ეკონომიკური სამინისტროს არქივში დაცულ დოკუმენტში, რომელშიც ტექსტი არის ჩასწორებული და გადახაზული, წერია: „გაერთიანება „საქქალაქმშენის“ ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობიდან არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტს ოპერატიულ მართვაში გადაეცეს ხუთი სართული (3-7სართ.) ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.“ ეს ბოლო ფრაზაც გადახაზულია.

კოლეგიის დადგენილებას ეყრდნობა კიდევ ერთი სადავო დოკუმენტი, ე.წ. გამყოფი უწყისი, რომელშიც წერია, რომ „საქქალაქმშენის“ მაშინდელმა უფროსმა გურამ ქორქაშვილმა არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს მირიანაშვილს „ბალანსიდან ბალანსზე გადასცა კუთვნილი მაღლივი შენობის ხუთი სართული“.

საქმე სასამართლოში წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა და სამი მოსამართლე შეიცვალა. თავიდან მოსამართლე იყო ლელა ცანავა, რომელმაც საჯარო რეესტრს აუკრძალა ცვლილების შეტანა ამ ხუთ სართულთან დაკავშირებით. თათიშვილი ამბობს, რომ ეს მისი მოთხოვნა იყო, რადგან არსებობდა ეჭვი, რომ აპირებდნენ ამ სართულების გაყიდვას. სასამართლომ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. ცანავამ პროცესი ძირითად სხდომამდე მიიყვანა, რის შემდეგაც ის ბათუმში გადაიყვანეს და მის მაგივრად დანიშნეს მოსამართლე ილონა თოდუა. მან ჩაატარა რამდენიმე სხდომა, თუმცა, როდესაც მხარეები გადაწყვეტილების გამოსაცხადებლად დაიბარეს, გაირკვა, რომ ისევ გამოიცვალა მოსამართლე და გადაწყვეტილებაც ძირითადი სხდომის გარეშე დიმიტრი გვრიტიშვილმა წაიკითხა.

თუ სტრასბურგში „ქალაქმშენი“ მოიგებს, რა გამოვა? რომ საქართველოს მართლმსაჯულებას განაჩენი თითოეული ჩვენგანისთვის გამოუტანია.

### ლაშა ჩხენკელის საქმე<sup>20</sup>

სისხლის სამართლის საქმე #089090030 საქართველოში აშშ-ის საელჩოს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის - 23 წლის ლაშა ჩხენკელის მიმართ შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში აღიძრა. იგი 2009 წლის 22 მარტს ეჭვმიტანილის სტატუსით დააკავეს. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 18-315-ე მუხლის მეორე ნაწილით და 18-323-ე მუხლის მეორე ნაწილით ედება, კერძოდ - ამზობება საქართველოს კონსტიტუციური წყობის ძალადობით შესაცვლელად მომზადებასა და ტერორისტული აქტის მომზადებაში. 25 მარტს კი თბილისის საქალაქო სასამართლოში ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს.

სისხლის სამართლის საქმეს საფუძვლად დაედო 17 მარტს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის სახელზე მოქალაქე დავით ჟღენტის მიერ შეტანილი განცხადება.

განცხადებაში ჟღენტი აღნიშნავს, რომ საკმაოდ დიდი ხანია იცნობს მალხაზ გველუკაშვილს და ახლო ურთიერთობა აქვს მასთან. დიდი ხნის უნახავი მეგობარი 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციებზე წახდა და მას შემდეგ ხვდებოდნენ ერთმანეთს, ხშირად ტელეფონითაც საუბრობდნენ. ჟღენტის მტკიცებით, გველუკაშვილმა 10 მარტსაც დაურეკა და აცნობა, რომ პოლიტიკური პარტია “ეროვნული ალიანსი - საქართველოს სამეფო” დააარსა.

16 მაისს გამართულ სასამართლოს სხდომაზე ადვოკატის მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რა საგამომიებო მოქმედებები ჩატარდა ორი თვის განმავლობაში, პროკურორმა კობიძემ ასე უპასუხა: “დაიკითხნენ მოწმეები. მიმდინარეობს ბრალდებულთა სატელეფონო საუბრებისა და ზარების ანალიზი, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებიდან ამოღებულია ინფორმაცია ფულადი ტრანზაქციების შესახებ. დაინიშნა ფონოსკოპიური ექსპერტიზა.”

ადვოკატის დამატებით კითხვებს - მოწმეები დაიკითხნენ თუ დაიკითხა მოწმე? ვინ არის მოწმე დავით ჟღენტის გარდა? - პროკურორმა ცოტა დაგვიანებით უპასუხა: დაიკითხულია დავით ბრეგვაძე... პაუზის შემდეგ კი დაამატა: სხვა მოწმეები არ დაიკითხულან.

ჩვენმა საგამომიებო ჯგუფმა დაადგინა დავით ბრეგვაძის ვინაობა. იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია, ჩხენკელისა და გველუკაშვილის წინააღმდეგ წარმოებულ ოპერატიულ ღონისძიებებში

---

<sup>20</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=3762&lang=ge>

იღებდა მონაწილეობას და, სავარაუდოდ, ამავე საფუძველზე დაიკითხა. შესაბამისად, მას ბრალდების საქმეში არსებითი ხასიათის დეტალის შეტანა არ შეეძლო.

ადვოკატის შემდეგ კითხვაზე - არის თუ არა გამოყოფილი ცალკე წარმოებად რომელიმე საქმე, ანუ ოპერატიულ მასალაში ნახსენები 3 ათასი კაციდან ერთი თუ მაინც არის გამოვლენილი? - პროკურორის პასუხი ასეთი იყო: რამე მტკიცებულებები ან ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებზე ამ ეტაპზე გამოკვეთილი არ არის.

დანაშაული, რომელშიც ეჭვმიტანილი არის ლაშა ჩხენკელი, ჯამში, 17-დან 25- წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ლაშა მხოლოდ 23 წლის არის და მართლმსაჯულებას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია მის მიმართ განხორციელებული ყველა ქმედებისა და გამოსატანი განაჩენის გამო. საზოგადოება განსაკუთრებით პირუთვნელი იქნება სასამართლო განაჩენის მიმართ. მის მიმართ წაყენებული ბრალდება, დღემდე არსებული მასალების მიხედვით, აშკარად ერთი პროვოკაციის შედეგია. XXI საუკუნის საქართველოში არ უნდა განმეორდეს გასული საუკუნის 37 - უდანაშაულო ადამიანების გადაყოლება "სახელმწიფო ინტერესების" დაცვის სახელს. ეს სხვა დროა და, სავარაუდოდ, სხვა ხელისუფლებაა.

## კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულია ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. საქართველოს კონსტიტუციის ამ დებულებებს უფრო აკონკრეტებს საქართველოში მოქმედი ყველა საკანონმდებლო აქტი, რომელსაც კი შეეხება შეიძლება ჰქონდეს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან. საქ-ოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი განამტკიცებს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, თუკი ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქ-ოს კონსტიტუციას, აქვს უფრო მაღალი იურიდიული ძალა საქართველოში მოქმედ სხვა კანონმდებლობასთან შედარებით. ამ დანაწესის საფუძველზე, საქართველოში უშუალოდ მოქმედ სამართლად აღიარებულია ადამიანის უფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენცია მისი დამატებითი ოქმებით და მის საფუძველზე განვითარებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. ყველა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტით განმტკიცებულია კანონის და ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა უზენაესობის და პატივისცემის პრინციპი. სახელმწიფო ორგანოები მათ მიერ განხორციელებული ყოველი მოქმედებისას ვალდებული არაინ დაიცვან კანონი და პატივი სცენ კანონით და კონსტიტუციით განმტკიცებულ ადამიანის უფლებებს. ამთანავე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ არაერთ გადაწყვეტილებაში იქნა დაფიქსირებული, რომ სახელმწიფო, საჯარო ინტერესის მნიშვნელობის მიუხედავად, ვალდებულია, არ უგულებელყოს პირისთვის კანონმდებლობით გარანტირებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თუნდაც საქმე ეხებოდეს ტერორიზმის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ საჯარო ინტერესისა, რაც შეიძლება ამა თუ იმ შემთხვევაში არსებობდეს კონსტიტუციის და სხვა საკანონმდებლო აქტების იმპერატიული მოთხოვნაა, რომ პრიორიტეტი მიენიჭოს ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს.

თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს რეალობაში დღემდე ვერ ვპოვავ ასახვა ამ პრინციპებმა. ხშირია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან ხდება ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების ფეხქვეშ გათელვა, ხოლო იმ ორგანოს, კერძოდ სასამართლოს მხრიდან, ვისაც ამ უსამართლობის აღმოფხვრის და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის ფუნქცია ეკისრება, ამის დაკანონება. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს საქმე საქართველოს საერთო სასამართლოების უახლოესი პრაქტიკიდან, კერძოდ უკრაინის მოქალაქე - ორესტ ბოხოივკოს წინააღმდეგ:

## ორესტ ბოხოწკოს საქმე

37 წლის უკრაინის მოქალაქე 27 სექტემბერს, საღამოს 11 საათზე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს. იგი საქართველოში კიევი-თბილისის რეისით ჩამოფრინდა. ბოხოწკო აღნიშნავს, რომ იგი სენაკში მეგობარ ზაზა სამინავასთან სტუმრობას გეგმავდა, რომელიც მას აეროპორტში უნდა დახვედროდა. გასასვლელში მას უცხო პირი ხვდება, რომელიც სამინავას ნახევარი საათით დაგვიანებას ატყობინებს და აეროპორტის შენობის ერთ-ერთი ოთახისკენ აცილებს. დაახლოებით 20 წუთში ქართველი მასპინძელი ჩნდება და ისინი ავტომატურად გასვლას აპირებენ. ამ დროს სტუმარ-მასპინძელს 10-მდე სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირი უახლოვდება და ორივეს ძალის გამოყენებით მიწაზე აწევს.

იგი დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვასა და ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვაშია ბრალდებული. სამხარეო პოლიციის თანამშრომლების მტკიცებით ნარკოტიკი „მეტადონი“ ბოხოწკოს ანალური ხვრელიდან ამოიღეს.

სამართალდამცავებმა სხვადასხვა მანიპულაციებით, ძალადობით ბოხოწკოს მიმართ ჩაიდინეს კრიმინალი. სასამართლო სამსჯავრო სხდომებზე გამოვლენილ იქნა გამოძიების მიერ შეგნებულად დაშვებული კანონის არსებითი დარღვევები. რაც სასამართლოს უნდა შეეფასებინა კანონის მოთხოვნათა დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებად. თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლომ კანონდარღვევით გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და ორესტ ბოხოწკოს 18 ივნისს, 23 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

წინასწარი გამოძიების მასალებით ირკვევა, რომ ჩხრეკის შედეგად ორესტ ბოხოწკოსაგან ამოღებულ იქნა ყვითელი ფერის ბუმბუტი მოთავსებული პოლიეთილენის გამჭვირვალე პარკში მოთავსებული თეთრი ფერის ფხვიერი მასა. აღნიშნული დასტურდება როგორც წინასწარი გამოძიების მასალებით (მაგ: ექსპერტის დასკვნა, სადაც ექსპერტიზის წინაშე დასმულ კითხვებშია მითითებული), ასევე სასამართლო გამოძიებისას დაკითხული მოწმეთა ჩვენებებით (იხ. მოწმეთა: სამუშია, ჯანაშია, აბლოთია, თარჯიმანი – დიაკობი, ვ. კოდუა). თუმცა, დაილუქა და საქმეს ნივთმტკიცების სახით დაერთო (ასეთ მდგომარეობაშივე გადაეცა ექსპერტიზას) პოლიეთილენის პაკეტში მოთავსებული თეთრი ფერის ნივთიერება. გამოძიებამ “თავიდან მოიშორა” ყვითელი ბუმბუტი, რომელიც წარმოადგენდა ძირითად მტკიცებულებას იმისა, რომ აღნიშნული ნივთიერება, შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში, დაადასტურებდა, რომ ნამდვილად ბოხოწკოს სხეულიდან იყო ამოღებული. იმის შესახებ, რომ ყვითელი ბუმბუტის მოშორება მოხდა, დაადასტურეს ზემოთ მითითებულმა მოწმეებმა (იხ. მოწმეთა: სამუშია, ჯანაშია, აბლოთია, თარჯიმანი – დიაკობი, ვ. კოდუა). აღნიშნული კი წარმოადგენს კანონის უხეშ დარღვევას: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 323-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ჩხრეკის და ამოღების დროს აღმოჩენილი ყველა საგანი ან დოკუმენტი, მათ ამოღებამდე უნდა წარედგინოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს და დაწვრილებით აღიწეროს ოქმში, შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა შეიფუტოს და დაილუქოს. ანუ ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში კი, გამოძიებამ თავიდან მოიშორა ყვითელი ბუმბუტი. სსსკ-ს მე-7 მუხლის VI ნაწილის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვს.

სასამართლო პროცესზე ორესტ ბოხოწკოს დაკითხვისას მან აღნიშნა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა გამოძიების მხრიდან განხორციელებულ ძალადობის, პატივისა და ღირსების შემლახავ მოპყრობის ფაქტებს: “როცა ვერაფერი ნახეს, მომთხოვეს გახდა, ამისათვის მოვითხოვე მოწმის დასწრება, თუნდაც აეროპორტის თანამშრომლის. რის შემდეგაც სილა გამარტყეს, თავს რატომ აძლევ ამის უფლებას”-ო... “ამის შემდეგ მომთხოვეს შარვლის გახდა. აქაც ვერაფერი აღმოაჩინეს, ამის შემდეგ ტრუსის გახდა მომთხოვეს... ამის შემდეგ დამიყვირეს და მომთხოვეს გახდა”... “ამის შემდეგ გამახდევინეს მაიკა, შემდეგ ბუქნის გაკეთება მომთხოვეს, ამის შემდეგ კობტამ გაიკეთა რეზინის ხელთათმანი, ხელები გადამიგრიხეს და იძულებით გადამხარეს. მე ვცდილობდი დასხლტომას. დაემატნენ სხვა თანამშრომლები და გამაკავეს”... “ამას ყველაფერს იწერდნენ ვიდეოკამერაზე”, “მე დავაპირე შარვლის ჩაცმა, მაგრამ მკერდზე დამარტყეს”... “როცა შევეცადე ავმდგარიყავი, ამას მოყვა ცემა ფეხებით... სამუშია დამაჯდა, ვცდილობდი მასთან ერთად



წამომდგარიყავი, მაგრამ სამუშაო თავით იატაკზე მამაგრებდა... როცა ვცადე ადგომა, დამიწყეს ფეხებით ცემა და გაგუდვა. ერთ-ერთი დარტყმის შემდეგ მე დავკარგე გონება...”, “წამიყვანეს საკანში. დამე ვერ ვიძინებდი საშინელი ტკივილების გამო. მოვიტხოვე ექიმი. მან შემამოწმა და გამიკეთა ნემსი. ასევე მითხრა, რომ ტკივილები შეიძლება იმიტომ მქონდა, რომ მქონდა მოტეხილობა ნეკნების” (იხ. ორესტ ბოხონკოს დაკითხვის სასამართლო სხდომის ოქმი).

სსსკ-ის მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს პირადი ხელშეუხებლობის, პატივისა და ღირსების დაცვის უფლება (რასაც გარანტირებულს ხდის პირველ რიგში საქ-ოს კონსტიტუცია). ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, “დაუშვებელია პროცესის მონაწილეთა თუ სხვა პირთა მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში, აგრეთვე მათი პატივისა და ღირსების შემლახავი მეთოდების გამოყენება”. ამავე მუხლის მე-7 ნაწილის, აგრეთვე სსსკ-ის 286(4) მუხლის თანახმად: “საგამომიებო მოქმედების ჩატარებისას აკრძალულია პირის მიმართ მუქარის..... წამების ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის სხვა ხერხების გამოყენება. დაუშვებელია დაკავებულისა თუ დაპატიმრებულის მიმართ სამედიცინო ექსპერიმენტის ჩატარება,..... ისეთ პირობებში ჩაყენება, რომლებიც მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ლახავს მის ღირსებას“.

ად. უფლებათა 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად: “არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“. საქ-ოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად: 1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია 2. დაუშვებელია ადამიანის მიმართ წამება, მის მიმართ არაკუმანური, სასტიკი ან პატივის და ღირსების შემლახველი მოპყრობა თუ დასჯის მეთოდის გამოყენება.“

ადამიანის ეს უფლება, რომელიც არის გარანტირებული ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებით, არის აბსოლუტური და უზენაესი ღირებულება, რამელსაც პატივი უნდა სცეს ყველამ მით უმეტეს სახელმწიფოს წარმომადგენელმა.

ად. უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე: X გერმანიის წინააღმდეგ” მსგავსი შემთხვევა, როდესაც მოხდა პირის ორგანიზმიდან მის მიერ გადაყლაპული ნარკოტიკის ამოღება სპეციალური ზონდის მეშვეობით, ჩათვალა არაადამიანურ მოპყრობად და კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად და შესაბამისად, მოპოვებული მტკიცებულებაც ჩაითვალა დაუშვებლად.

სსსკ-ის 322-ე მუხლით ჩამოთვლილია ის ადგილები, სადაც შეიძლება ჩატარდეს ჩხრეკა. ამასთანავე, 325-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს პირადი ჩხრეკის ჩატარების ადგილებს და, მათ შორის, მიუთითებს, რომ პირადი ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს პირის ტანსაცმელზე, მასთან არსებულ ნივთებში ან მის სხეულზე და არსად არ მოიაზრება სხეულში ჩხრეკაზე. აღნიშნული მოქმედება არის შემოწმება 350-ე მუხლის თანახმად, რომლის მიზანია ადამიანის სხეულზე რაიმე საქმისთვის მნიშვნელოვანის აღმოჩენა. თუ ეს ქმედება ჩაითვლება შემოწმებად, მაშინ მისი ჩატარება უნდა მომხდარიყო ექიმის მიერ, რაც ამ შემთხვევაში არ მოხდა, თუმცა თუ ამას მხედველობში არ მივიღებთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ კოდექსის საერთო სულისკვეთებას. კერძოდ, ისეთი საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისთვის, რომლებსთვისაც საჭიროა პირის გაშიშვლება, კოდექსი პირდაპირ მიუთითებს 354(3) მუხლით, რომ მსგავსი მოქმედება ჩატარებულ უნდა იქნეს სპეციალისტის კერძოდ - ექიმის მიერ. მსგავს დათქმას არ აკეთებს სსსკ-ის 325(4) მუხლი და ამბობს, რომ თუ ჩხრეკა დაკავშირებულია პირის გაშიშვლებასთან, მას ატარებს ამავე სქესის გამომძიებელი ან სპეციალისტი. მიუხედავად ამისა, არ უნდა მოხდეს ნორმის განმარტება ცალკე, იზოლირებულად, კოდექსი არის ერთიანი სისტემა და ყოველი ნორმის განმარტება უნდა მოხდეს სხვა ნორმებთან ერთობლიობაში და ურთიერთკავშირში. კანონმდებლის მიზანი მსგავსი დათქმის გაკეთებისას იყო პირის პატივისა და ღირსების დაცვა, რაც ბოხონკოს მსგავს შემთხვევაში მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ მას ჩაატარებს სპეციალისტი, ამიტომ გამოყენებული უნდა იქნეს ანალოგიის პრინციპი და მსგავსი შემთხვევების მოწესრიგებისას გამოყენებულ უნდა იქნეს 354 მუხლის შესაბამისი დებულებები, რათა მიღწეულ იქნეს კანონის მიზანი - პირის დაცვა მისი უფლებების შემლახველი

მოქმედებისგან, ანალოგია, მით უმეტეს, დასაშვებია, რომ ის ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და აუმჯობესებს ექვმიტანილის მდგომარეობას.

შესაბამისად, თუ გავიზიარებთ ამ პოზიციას, გამოდის რომ ნარკოტიკის ამოღება მოხდა უკანონოდ ან იმიტომ რომ ეს არის შემოწმება, რადგან ჩხრეკის ადგილს, კანონის სიტყვასიტყვითი განმარტებით, არ წარმოადგენს ანალური ხვრელი. ანუ მოხდა უკანონოდ იმიტომ, რომ ანალოგიით გამოყენებული არ იქნა მისი ჩატარება ექიმის მიერ.

მოწმებმა, ასევე განსასჯელმა სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას, სრულად და ობიექტურად ასახეს მათი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების სურათი. ბოხოწკომ სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას აღნიშნა, რომ კ. კოდუა იღებდა მის ჩხრეკაში მონაწილეობას. ასევე, თავად კოდუამ მოწმის სახით დაკითხვისას აღნიშნა, რომ იგი პერიოდულად შედიოდა ოთახში, სადაც მიმდინარეობდა ბოხოწკოს ჩხრეკა, თუმცა არანაირ მონაწილეობას არ ღებულობდა ბოხოწკოს ჩხრეკაში და არც ხელს აწერს საგამოძიებო მოქმედების ოქმს. ამიტომ მას მიაჩნია, რომ, ვინაიდან მას არანაირი მონაწილეობა ბოხოწკოს ჩხრეკაში არ მიუღია, შესაბამისად, ვერც ოქმში იქნებოდა შეყვანილი და ვერც მას დაადასტურებდა ხელმოწერით. ჩემი აზრით კი, აღნიშნული ფაქტი არის კანონდარღვევა – თუ გამოძიებას და ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ ბოხოწკოს ჩხრეკის ჩატარებისას საგამოძიებო მოქმედებისათვის თვალყურის დევნება არ წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობას, ამ ლოგიკით, დამსწრეებიც და ის პირებიც, რომლებთანაც ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედება, არ უნდა ჩაითვალოს ამ მოქმედების მონაწილე პირებად, ვინაიდან მათი მოვალეობაც მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ თვალყური ადევნონ გამომძიებლის ყველა მოქმედებას და ოქმზე ხელმოწერით დაადასტურონ შედეგები. სსსკ-ის 287-ე მუხლის მე-3 ნაწილი ცალსახად განსაზღვრავს, რომ საგამოძიებო მოქმედების ოქმში აღნიშნული უნდა იყოს: “იმ პირის თანამდებობა და გვარი, რომელმაც ჩაატარა საგამოძიებო მოქმედება”, ასევე, “საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა სახელი ან/და გვარი”; მაშასადამე, თუკი რამენაირად მონაწილეობს საგამოძიებო მოქმედებაში, ან თანამდებობის პირი ხარ, რომელიც ატარებს საგამოძიებო მოქმედებას, ან დამსწრე ხარ ან მოწვეული ექსპერტი/სპეციალისტი ხარ, ან ის პირი ხარ, რომელთანაც ატარებენ საგამოძიებო მოქმედებას (ექვმიტანილი, ბრალდებული, მოწმე) – ყველა მათგანს კანონმდებელი საგამოძიებო მოქმედების მონაწილედ განიხილავს და სხვა სამართლებრივი სტატუსი საგამოძიებო მოქმედებაში არ არსებობს. შესაბამისად, კოდუას რომელიმე ზემოჩამოთვლილი სტატუსი უნდა ჰქონოდა, ან საერთოდ არ უნდა ყოფილიყო იმ ოთახში, სადაც ბოხოწკოს ჩხრეკა მიმდინარეობდა. თუკი მონაწილეობს საგამოძიებო მოქმედებაში, მაშინ კანონი გავალდებულებს საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისა და შედეგის დადასტურებას ხელმოწერით, მით უმეტეს, პოლიციის თანამშრომელს. ხოლო, როდესაც ჩხრეკაში მონაწილე პირი შეყვანილი არ არის და ხელს არ აწერს საგამოძიებო მოქმედების ოქმს, ეს წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების (საგამოძიებო მოქმედებათა ოქმი), მოთხოვნათა უხეშ დარღვევას, ვინაიდან ხსენებული მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნაა – ოქმში დაფიქსირდეს საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა სახელი და გვარი, ხოლო მე-6 ნაწილი იმპერატიულად მოითხოვს, რომ ოქმს ხელი უნდა მოაწეროს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მონაწილე ყველა პირმა. აშკარაა, რომ გამოძიება შეგნებულად მალავს საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირების ფაქტობრივ რაოდენობას, რაც სასამართლო სხდომაზე გამოაშკარავდა (ბოხოწკოს, კოდუას ჩვენება). ვფიქრობ, აღნიშნული ჩვენებების რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რათა საბოლოოდ გაირკვეს დაცული იყო თუ არა საპროცესო კანონი მტკიცებულების შეკრებისას.

როგორც დაკავების ოქმში ჩანს, ბოხოწკოს დაკავების საფუძველად მითითებულია სსსკ-ის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “ა” ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც დაკავების საფუძველი შეიძლება იყოს პირისთვის დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ან ჩადენისთანავე წასწრება. სსსკ-ის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე.ი. ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება”. თუ ჩვენ 142(1/ა) მუხლის დანაშაულს განვმარტავთ სიტყვა სიტყვით, მაშინ უნდა გამოვიყენოთ სწორედ ზემოაღნიშნული განმარტება, თუმცა, ეს იქნებოდა კანონის ნების საწინააღმდეგო. ამიტომ, დანაშაულის ჩადენის ფაქტზე წასწრებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც დაკავების განმახორციელებელი პირი

უმუშალოდ ხედავს დანაშაულის მიმდინარეობას, ჩადენის ფაქტს, თუ როგორ სჩადის დანაშაულს პირი. დანაშაულის ჩადენა კი, ისევე სსკ-ს თუ მივმართავთ, გულისხმობს კოდექსით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებას. კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას, ამ შემთხვევაში, წარმოადგენს ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა, შენახვა და საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო შემოტანა. ამ შემთხვევაში, როგორც საქმიდან ჩანს, დამკავებლები მოქმედებდნენ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ანუ ისინი ბოხონკოს მიერ დანაშაულის ჩადენას ვარაუდობდნენ აღნიშნულით და მხოლოდ ბოხონკოს ჩხრეკის შემდეგ შეექმნათ საფუძვლიანი ეჭვი მის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. გამოდის, რომ დაკავების საფუძველი იყო ოპერატიული ინფორმაცია (რადგან ისინი უმუშალოდ ვერ ხედავდნენ დანაშაულის ჩადენის ფაქტს). ამ ფაქტს, რომ დაკავება მოხდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე აღიარებენ თავად საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე და სასამართლო გამოძიებისას მოწმის სახით დაკითხული პირები (იხ. სამუშაოს, აბლოთია, ვ. კოდუა), რომლებიც ასევე აღნიშნავენ, რომ მათ კანონი აძლევდა ამის უფლებას, თუმცა, სად იყო გაწერილი მათი ეს უფლება, ვერ მიგვითითეს.

ასეთი საფუძველი კი, არ არის გათვალისწინებული სსკ-ის 142-ე მუხლით, რომელიც ამომწურავად ჩამოთვლის დაკავების საფუძველებს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პირის თავისუფლება და ხელშეუხებლობა დაცულია და არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება გარდა ამ მუხლში ჩამოთვლილი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. ამასთანავე, ამ შემთხვევაში დაკავების საფუძველად, სავარაუდოდ, შეიძლება მივიჩნიოთ ამ მუხლის “ც” ქვეპუნქტი, “პირის დაკავება როდესაც მის მიმართ არებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი”. ამ მუხლის უპირველესი მოთხოვნაა, რომ დაკავების საფუძველი გათვალისწინებული იყოს შიდა კანონმდებლობით (რაც არაერთგზის დადასტურდა ევროპის ად. უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებაში). ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად დაკავება მოხდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე. დაკავების ასეთი საფუძველი კი კანონით არ არის გათვალისწინებული, თუმცა ესეც რომ არა, თუ ჩავთვლით, რომ დაკავების საფუძველი იყო სსკ-ის 142(1/ა) მუხლი, მაშინ უნდა არსებობდეს საფუძვლიანი ეჭვი პირის მიერ დანაშაულის სავარაუდოდ ჩადენაზე. ევროპის ად. უფლებათა სასამართლომ, მრავალ გადაწყვეტილებაში განმარტა საფუძვლიანი ეჭვის სტანდარტის შინაარსი და თქვა, რომ საფუძვლიანი ეჭვი არსებოს იმ შემთხვევაში, თუ არსებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების საფუძველზე ობიექტური პირი ივარაუდებდა პირის მიერ დანაშაულის ჩადენას” და ამასთანავე თქვა, რომ მარტო ოპერატიული ინფორმაცია არ შეიძლება იყოს ასეთი საფუძვლიანი ეჭვის საფუძველი. ამიტომ ბოხონკოს დაკავება ამ საფუძველით იყო აბსოლუტურად უკანონო, რამაც გავლენა უნდა მოახდინოს მის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერება/დასაშვებობაზე, რადგან დაკავება იყო დაუსაბუთებელი სსკ-ის 146(3) მუხლის თანახმად.

ამასთანავე, დაირღვა სსკ-ის 145-ე მუხლით გათვალისწინებული დაკავების საპროცესო წესი, კერძოდ, მისი დაკავებისას გამოყენებული იქნა ძალადობა, რომელიც არაფრით არ იყო განპირობებული, პირი არ უწევდა წინააღმდეგობას, არ გარბოდა. მიუხედავად ამისა, ბოხონკო წააქციეს დაახლოებით 3-4 კაცმა, ურტყამდნენ გვერდებში ფეხებს (რაც დასტურდება მის სხეულზე არსებული დაზიანებებით). ამასთანავე, 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაკავებული დამკავებელმა დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოს პოლიციის განყოფილებაში. აქ კი ბოხონკოს შეთრევა მოხდა გაურკვეველ ოთახში აეროპორტის შენობაში და არა პოლიციაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში, როგორც ამას მოითხოვს კანონი და ამ ოთახში მის მიმართ გრძელდებოდა ძალადობა და ღირსების დამამცირებელი მოპყრობა.

კანონის კიდევ ერთ უხეშ დარღვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მიუხედავად ბოხონკოს არაერთგზის მოთხოვნისა, არ მოხდა მისი დაკავების ფაქტის უკრაინის საელჩოსთვის შეტყობინება. სსკ-ის 138 (1) მუხლის თანახმად, დაკავების შესახებ მაქსიმუმ 5 საათის განმავლობაში, პროკურორი და გამომძიებელი ვალდებული არიან ეს ფაქტი შეატყობინონ დაკავებულის ოჯახის წევრებს, ხოლო ამ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ დაკავებული უცხო ქვეყნის მოქალაქეა, აღნიშნული შეტყობინება უნდა განხორციელდეს შესაბამისი სახელმწიფოს საელჩოსათვის ან საკონსულოსთვის. ეს არის კანონის იმპერატიული მოთხოვნა, რაც აღნიშნულ შემთხვევაში არ განხორციელდა. უკრაინის საელჩოს დაკავების შესახებ ეცნობა 2008 წლის 3 ოქტომბერს, ეს კი კანონის დარღვევაა, რაც გავლენას ახდენს დაკავების და მის

შემდგომი მოქმედებების კანონიერებაზე. სასამართლო სხდომაზე აბლოთიამ მოწმის სახით დაკითხვისას აღნიშნა, რომ საკონსულოს არ დავუკავშირდით, რადგან თავად ბოხონკოს არ უთხოვია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაკავება იყო უკანონო და დაუსაბუთებელი, შესაბამისად, სსსკ-ის 111-ე მუხლის თანახმად, ყველა შემდგომი მოპოვებული მტკიცებულება წარმოადგენს დაუშვებელ მტკიცებულებას.

აღსანიშნავია, რომ კანონის მოთხოვნათა დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები თავისთავად საეჭვოა და არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ბრალის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება. სსსკ-ის 132-ე მუხლის თანახმად, თითოეული მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი დამოკიდებულების, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, ხოლო საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულება მათი ერთობლიობით დამნაშავედ ცნობის შესახებ დასკვნისათვის საკმარისობის თვალსაზრისით. ამავე კოდექსის მე-7 მუხლის V ნაწილის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. ხოლო, მე-6 ნაწილის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს, ვინაიდან, სასამართლო სხდომებზე გამჟღავნებული იქნა, რომ ბოხონკოს ბრალდების საქმეზე მტკიცებულებების შეგროვებისას დარღვეულია კანონით დადგენილი მოთხოვნები, შესაბამისად, არ შეიძლება ისინი განხილულ იქნეს უტყუარად. სსსკ-ის 132-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლისა და სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭმიტანილის, ბრალდებულის და განსასჯელის სასარგებლოდ. ვინაიდან მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე არ არსებობდა უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ ბოხონკომ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის III ნაწილის “ა”, 262-ე მუხლის IV “ა” გათვალისწინებული დანაშაული, სასამართლოს სსსკ-ის 132(1) მუხლის და 496(3) მუხლის საფუძველზე, ორესტ ბოხონკოს მიმართ უნდა დაედგინა გამამართლებელი განაჩენი და გაეთავისუფლებინა მტკიცებულებათა არასაკმარისობის, საერთოდ არარსებობის გამო.

## რატიშვილის საქმე<sup>21</sup>

ყველაფერი დაიწყო 2007 წლის ნოემბრის ცნობილ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე, როცა სამართალდამცავებმა ვინმე მოქალაქე გია მელამის წინააღმდეგ აღძრულ საქმეში აღმოაჩინეს და საეჭვოდ მიიჩნიეს ტელეფონის ნომერი 899 39 88 ... (ნომრის ყველა ციფრს არ ვასახელებთ ეთიკის ნორმების გათვალისწინებით, თუმცა იგი სამართალდამცავთა მიერ გასაიდუმლოებული არ გახლავთ). 24 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ სანქცია გასცა 2 თვის განმავლობაში ამ ნომერზე განხორციელებული საუბრების ფარულად მოსმენაზე. სანქციის გაცემის მიზნად დასახელდა ნარკორეალიზატორების გამოვლენა, რომლებიც თითქოს ზემოთ ხსენებულ გია მელამეს ამარაგებდნენ ნარკოტიკით, სავარაუდოდ - ამ ნომრის მფლობელიც. სწორედ, ამ მობილური ტელეფონის პატრონი იყო მერაბ რატიშვილი.

სამართალდამცავები აღნიშნულ სატელეფონო ნომერთან საუბრებს ისმენდნენ 24 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის 22 საათამდე. აღნიშნულ ნომერთან დამაკავშირებელი (შემავალი და გამავალი) სულ 33 ზარი აღრიცხეს. აქედან მხოლოდ ორი - ერთსა და იმავე დღეს ერთი და იმავე ნომრიდან შემდგარი საუბრით

<sup>21</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=3589&lang=ge>

დაინტერესდნენ. საუბრებს შორის შუალედი 40 წუთი იყო. მრავალიდან ამ ორის არჩევის მოტივი იყო საუბრის დროს გამოყენებული სიტყვა “შაქარი”, რომელიც ნარკოტიკების აღმნიშვნელ კოდურ სიტყვად მიიჩნის.

მორიგი შუამდგომლობა, რომელიც სასამართლომ განსასჯელის მხარეს არ დაუკმაყოფილა, იყო სასამართლო პროცესზე აგარის ქარხნის ყოფილი დირექტორის - გოჩა ძასოხოვის მოწმედ მოწვევა. იგი მოწმედ არ მოიწვიეს. მის კვალს ვერც ჩვენმა საგამომძიებო ჯგუფმა მიაგნო. იგი რატიშვილის აყვანიდან მეორე დღეს გაუჩინარდა. აღარ ფუნქციონირებს მისი ტელეფონის ნომრები. მის შესახებ ვერაფერი გვითხრეს აგარის შაქრის ქარხანაშიც. სავარაუდოდ, იგი საქართველოში აღარ იმყოფება. უცნაურია, რომ სასამართლომ საჭიროდ არ მიიჩნია მისი მოძიება, თითქოს წინასწარ იცოდა, რომ გოჩა ძასოხოვი ვერავის ეტყოდა სათქმელს რატიშვილისა და “შაქრის” შესახებ: ვერც მას - სასამართლოს და ვერც სხვა დაინტერესებულ პირებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არაფერს ვამტკიცებთ, უბრალოდ, ვამბობთ იმას, რომ სასამართლომ ამ ეპიზოდში შესაძლოა თავისდაუნებურად ითანამშრომლა მათ ინტერესებთან, ვისაც ძალიან უნდოდა, რომ “შაქარს” რატიშვილის ნაცნობების ლექსიკონში აუცილებლად ნარკოტიკის მნიშვნელობა ჰქონოდა; და ითანამშრომლა მათთანაც, ვინც გოჩა ძასოხოვის გაუჩინარებას შეუწყო ხელი.

სასამართლოს არ გაუცია პასუხი მთავარ კითხვაზე: ვინ არის რატიშვილთან განხორციელებული და სამართალდამცავთა მიერ საექვოდ მიჩნეული საუბრების ავტორი? ვინ არის ის, ვინც რატიშვილისგან “თეთრ ტკბილ ფხვნილს”, სუბოტექსს, ითხოვდა? სასამართლომ ამის დადგენა არ ისურვა. მან არ დააკმაყოფილა განსასჯელის ადვოკატის მოთხოვნა, რომ “მაგთიკომიდან” გამოეთხოვათ ინფორმაცია რატიშვილთან განხორციელებული საექვო ზარის ავტორის შესახებ. გამოდის, რომ ადამიანი დამნაშავედ ცნეს ნარკოტიკების მოხმარებაში ისე, რომ ამ მიზნით მასთან ურთიერთობაში მყოფი ადამიანები არ გამოავლინეს. მაშ, რა საფუძველზე მიიჩნის იგი ნარკოტიკების მოხმარებაში საექვოდ და რა საფუძველზე გასცეს მისი პირადი ტელეფონის მოსმენაზე სანქცია? სასამართლომ ხომ ვერც კოდური სიტყვის გამოყენება დაადასტურა და ვერც ამ სიტყვის ავტორების არსებობა?

ადვოკატის შუამდგომლობის მიუხედავად, სხვა დანარჩენთან ერთად, სასამართლოს უხერხულად არც ის მოხვედრია ყურში, რომ აბონენტის რეგისტრაციის ოფიციალურ მისამართში მითითებული იყო თბილისის ერთ-ერთი უბანი - ორთაჭალა. ვისაც ერთხელ მაინც აქვს ნანახი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, ცხადია, მიხვდება, რომ უბნის სახელი პირადობის მოწმობიდან ამონაწერში არ უნდა იყოს, რომ ადამიანები რეგისტრაციას გადიან არა უბნების (ვერა, კუკია, სვანეთის უბანი...), არამედ ოფიციალური მისამართების მიხედვით. სამწუხაროა, რომ სასამართლოს შემადგენლობამ ასეთი ცოდნა ვერ გამოამჟღავნა.

ადვოკატმა რაულ გამისონიამ სასამართლოს კიდევ ერთი შუამდგომლობით მიმართა. სასამართლომაც, სხვათა მსგავსად, არც ეს შუამდგომლობა დაუკმაყოფილა. რაულ გამისონია ითხოვდა, დადგენილიყო, კიდევ რა ნომრებზე იყო დარეკილი ე.წ. მიშიკო კეთილაძის ნომრიდან. ამის დადგენა საშუალებას მისცემდა მსაჯულებს, გასულიყვნენ თუნდაც ერთ რეალურ პიროვნებაზე, რომელიც მათ დაეხმარებოდა ტელეფონის ნომრის მფლობელის ზუსტი ვინაობის დადგენაში. ანუ ვირტუალურ მიშიკო კეთილაძეს რეალურ პიროვნებად აქცევდა. ბოლოს და ბოლოს, ვიდაც ხომ მართლა კრებდა რატიშვილის ნომერს ანონიმი აბონენტის ნომრიდან.

სასამართლომ ამის დადგენა არ მოისურვა და ამით კიდევ უფრო გაამყარა საზოგადოებაში არსებული ეჭვი, რომ შესაბამისი ორგანოები საგანგებოდ არეგისტრირებენ ყალბი მონაცემებით ე.წ. საკონტროლო ნომრებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, გარდაცვლილ მოქალაქეებზე აქვთ გაფორმებული და რომ ამ საქმეში კერძო სატელეფონო კომპანიებსაც იშველიებენ. სწორედ, ამაზე მეტყველებს შპს “მაგთიკომში” შექმნილი აბონენტის ბარათი. ხოლო იმაზე, რომ ასეთი ქმედებებისთვის მათ ხელშეუხებლობის გარანტია აქვთ მიცემული, ვფიქრობთ, რატიშვილის სასამართლო პროცესი ღიად მეტყველებს.

სასამართლოს არ გაუმახვილებია ყურადღება იმაზე, რომ რატიშვილის დაკავების, მისი პირადი, აგრეთვე მისი ავტომანქანის, ბინისა და ოფისის ჩხრევის ოქმები დარღვევით არის შედგენილი. ამ ოქმებს ხელს არ აწერენ მოწმეები, ხელს არ აწერს ადვოკატი, რომლის დასწრებას რატიშვილი დაბეჯითებით ითხოვდა. გარდა ამისა, ოქმს ხელს აწერს უფრო ნაკლები ადამიანი, ვიდრე, თვითმხილველთა თქმით, რეალურად მონაწილეობდა ჩხრევაში. მაგალითად, სასამართლო პროცესზე რატიშვილის მეუღლემ მოწმედ მოწვეულ სოდ-ის ერთ-ერთ მაღალჩინოსანში ამოიციხა სახლის ჩხრევის დროს იქ მყოფი პირი, რომელსაც ჩხრევის ოქმზე ხელი არ ჰქონდა მოწერილი. სასამართლოს ეს მტკიცებულებად არ მიუღია.

სასამართლოს დარღვევად არ მიუჩნევია ასეთი ჩხრევის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები: ავტომანქანიდან ამოღებული ერთჯერადი მოხმარების შპრიცში გამზადებული ნარკოტიკული ნივთიერება “მეტადონი” და სახლის ჩხრევის დროს დაკავებულის პიჯაკის ჯიბიდან ამოღებული იგივე ნივთიერება.

სასამართლომ ისე გამოუტანა განაჩენი მერაბ რატიშვილს “დიდი რაოდენობით ნარკოტიკების მოხმარებასა და შენახვაში,“ რომ ვერ დაამტკიცა, განსასჯელი ნამდვილად არის თუ არა ნარკოტიკის აქტიური მოხმარებელი. ადვოკატი და განსასჯელი დაჟინებით სთხოვდნენ მოსამართლეს, დაენიშნა ნარკოლოგიური ექსპერტიზა. მოსამართლემ ამ თემაზე დაყენებული შუამდგომლობაც უსაფუძვლოდ ცნო. რატომ? მისი უმაღლესობის გადაწყვეტილებები ასეთი კითხვების დასმას არ ექვემდებარება.

სასამართლოს მით უფრო უნდა მიექცია ყურადღება ამ დეტალისთვის, რომ რატიშვილი თავის ჩვენებაში აცხადებდა, ხელბორკილების დადების შემდეგ კუნთში ორჯერ ვიგრძენი ჩხვლეტა და ფაქტს მაშინ მივაქციე ყურადღება, როდესაც ნარკოლოგიური ანალიზით მეტადონის მოხმარება დამიმტკიცესო.

## **ზურაბ ხორბალაძის საქმე<sup>22</sup>**

42-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის მე-2 მსუბუქი ქვეითი ასეულის ოცმეთაურ ზურაბ ხორბალაძეს ბრალი დაედო შემდეგში: 2008 წლის 9 აგვისტოს თავის ბატალიონთან ერთად ცხინვალში შესული, ქალაქის ინტენსიური დაბომბვის შედეგად დეზორგანიზებული ჯარის ერთ ნაწილთან ერთად გორში ჩავიდა. უკან დახეული ჯარის სხვა ნაწილმა (რომელსაც მოგვიანებით ბატალიონის მეთაური მერაბ კიკაბიძეც შეუერთდა) თავი მოიყარა დაბა ვარიანში. ზურაბ ხორბალაძე დამნაშავედ ცნეს იმაში, რომ დროულად არ შეასრულა კიკაბიძის ბრძანება და დათქმულ დროში არ ჩაიყვანა მასთან ერთად მყოფი ჯარისკაცები ვარიანში.

იმავე ბატალიონისა და ასეულის მეორე ჯარისკაცს, ლეიტენანტ გიორგი მესხს, კი ბრალი დაედო როგორც ვარიანში დისლოცირებულ ჯართან დროულად გამოუცხადებლობაში, ასევე საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ ვაზიანში მდებარე ბატალიონის მუდმივი დისლოკაციის ადგილის თვითნებურ მიტოვებაში.

ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ქმედებები, რომლებშიც ჯარისკაცებს ედებათ ბრალი, არ არის ერთმანეთის იდენტური და თანაფარდი.

წინასწარი გამოძიების შემდეგ საქმე სასამართლოს გადაეცა. ეს მოხდა 2008 წლის 11 სექტემბერს. სასამართლო პროცესი (საპროცესო გარიგება) კი 6 ნოემბერს შედგა. მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანოს საქმის შესასწავლად თითქმის ორი თვე ჰქონდა. საქმის ორთვიანი შესწავლის შედეგად მან

---

<sup>22</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=3503&lang=ge>

აბსოლუტურად უცვლელად და ხელშეუხებლად დატოვა ძიების მიერ მოპოვებული მასალები. ორივე ექვმიტანილის ქმედება დანაშაულად მიიჩნია. ის მხოლოდ დანაშაულის კვალიფიკაციაში არ დაეთანხმა ძიებას. მიიჩნია, რომ ჩადენილი ქმედებები არ იყო დეზერტირობა, მაგრამ იყო დაუმორჩილებლობა და ორივეს ბრძანების შეუსრულებლობის გამო მიუსაჯა სასჯელი: 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ფულადი კომპენსაცია.

გაურკვეველი რჩება, რატომ ჩათვალა სასამართლომ წინასწარი გამოძიება სრულყოფილად, ობიექტურად და ამომწურავად მაშინ, როცა გამოძიებას არ ჰყავს დაკითხული ყველა მოწმე, ძიებას არ აქვს დაკმაყოფილებული ადვოკატების არც ერთი შუამდგომლობა იმ მოწმეთა დაკითხვაზე, რომელთაც განსხვავებული ჩვენებების მიცემა სურდათ, ხოლო იმ მოწმეთა ჩვენებებშიც, რომლებიც წინასწარმა გამოძიებამ სასამართლოს წარუდგინა, მკვეთრად და ნათლად არ იკვეთება ზურაბ ხორბალაძისა და გიორგი მესხის მიერ ჩადენილი დანაშაული!

ხორბალაძის ადვოკატი რევაზ სისაური ითხოვდა 42-ე ბატალიონის ოფიცრების: მუშკუდიანისა და ტორჩინავას დაკითხვას. სასამართლომ ისე დაადგინა განსასჯელ ზურაბ ხორბალაძის დანაშაული, რომ არ გასჩენია კითხვა: რატომ, რა მოტივით განაცხადა ძიებამ უარი ამ მოწმეთა დაკითხვაზე? მესხის ადვოკატი ლაშა ავალიანი ითხოვდა 42-ე ბატალიონის კაპრალების: ჩილინდრიშვილის, ცუცქირიძის, ფუკასიანისა და კაპანაძის დაკითხვას. მათ შეეძლოთ იმის დამოწმება, რომ გიორგი მესხმა შეასრულა ბატალიონის მეთაურის - კიკაბიძის ბრძანება და დათქმულ დროში ჩავიდა ვარიანში. სასამართლომ არც იმაზე გაუმახვილებია ყურადღება, რომ ძიებამ არ დააკმაყოფილა გიორგი მესხის ადვოკატის მეორე შუამდგომლობაც, რომლითაც იგი ითხოვდა ლეიტენანტ აბაშიძის დაკითხვას. ლეიტენანტ აბაშიძეს კი უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია ჰქონდა სათქმელი სასამართლოსთვის: რომ 2008 წლის 13 აგვისტოს მან საკუთარი პასუხისმგებლობით გაათავისუფლა 42-ე ბატალიონის ვაზიანში მდებარე მუდმივი დისლოკაციის ადგილიდან ოცმეთაური გიორგი მესხი, რადგან მან სთხოვა თავისი ოცეულის დადუპული ჯარისკაცის, დევი ჩადუნელის, გასვენებაზე წასვლის უფლება (ლეიტენანტი აბაშიძე ამ დროს ასრულებს საშტატო განყოფილების ასეულის მეთაურის - ლეიტენანტ მემანიშვილის მოვალეობას, რომელიც ცხინვალში დაიღუპა). მაშ, სად არის დანაშაული? გამოძიების მიერ მოწმედ ცნობილი ჯარისკაცები ხომ მხოლოდ იმას ადასტურებენ, რომ 13 აგვისტოდან რამდენიმე დღის განმავლობაში მესხი ბატალიონში აღარ უნახავთ. თუკი იგი ნებართვის მიღების შემდეგ კანონის შესაბამისად გავიდა დისლოკაციის ადგილიდან, მაინც უნდა ჩაითვალოს დამნაშავედ? ჩვენ ამ შეკითხვით მართლმსაჯულებას მივმართავთ.

სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება იმასაც, რომ ძიებას არ ჰქონდა გარკვევით დადგენილი, რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს ბატალიონის მეთაურის, კიკაბიძის, ეჭვი ორი ჯარისკაცის დეზერტირობის შესახებ. რამდენად ობიექტური იყო მერაბ კიკაბიძე? ხომ არ ჰქონდა მას პირადი შურისძიების მოტივი თავისი თანამებრძოლების მიმართ, რომელთაც შესაძლოა ჰქონოდათ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ცხინვალში დეზორგანიზებული ბატალიონის მეთაურზე? ადვოკატი ითხოვდა ბატალიონის მეთაურსა და ოცმეთაურ ხორბალაძეს შორის გამართული სატელეფონო საუბრების შინაარსის ამოღებას შესაბამისი ფიქტური სადგურების არქივებიდან, მაგრამ ძიებამ არც ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

სასამართლომ არც ის შეუმჩნევია, რომ წინასწარი გამოძიების ეტაპზე პირდაპირ და გარკვევით არსად დასტურდება ხორბალაძისა და მესხის მიერ ჩადენილი დანაშაული - ბრძანების შეუსრულებლობა. უფრო მეტიც, მოწმეთა ჩვენებები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის გამომრიცხავია. მაგალითად, გიორგი მესხისა და მისი თანამებრძოლების წასაყვანად ვარიანიდან გამოგზავნილი ამაღლობელი წაყვანილი ჯარისკაცების სულ სხვა გვარებსა და რაოდენობას ასახელებს, თავად ბატალიონის მეთაური კიკაბიძე, რომელთანაც ჩაიყვანეს ეს ჯარისკაცები - სულ სხვას, სხვა მოწმეების კი - სხვას.

ჩვენებებში არსებულ წინააღმდეგობათა თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის ასეთი ცხრილი შევადგინეთ.

ა. ამაღლობელი	მ. კიკაბიძე	ო. ბერიძე	გ. მესხი	შ. ლობჯანიძე	ჯ. ყაჯრიშვილი
მე წავიყვანე 7 კაცი: აბუსერიძე, ბერიძე, ჩალაძე, ლობჯანიძე, რეხვიაშვილი და ორი სხვა (გვარები არ მახსოვს)	ამაღლობელმა ჩამოიყვანა სამი ჯარისკაცი. (გვარები არაა მითითებული)	წავედით სამი კაცი: მე, აბუსერიძე, გელაძე	წავედით 8 კაცი: მე, ჩილინდრიშვილი, ცუცქირიძე, კაპანაძე და კიდევ 2 სხვა. (გვარები არ მახსოვს)	წავედით 3 კაცი: მე, რეხვიაშვილი, ჩალაძე	წავედით: მე, ჩხეიძე, ცქიტიშვილი, ბუდურაშვილი და 2 სხვა. (გვარები არ მახსოვს)

ცხრილში კარგად ჩანს კიდევ ერთი დეტალი - რამდენიმე მოწმე ყველა წაყვანილი ჯარისკაცის გვარს ვერ იხსენებს და ამბობს: „კიდევ ორი სხვა.“ სად არის მტკიცებულება, რომ იმ „ორ სხვაში“ არ არის გიორგი მესხი?

ეს პასუხგაუცემელი კითხვები იმ სასამართლომ დაუტოვა საზოგადოებას, რომელსაც მეტად მტკივნეულ თემაზე - ომში მონაწილე ჯარისკაცების ღირსების თემაზე ევალუბოდა სიმართლის დადგენა. მაგრამ რა არის ისეთი სიმართლე, რომელსაც არ შეუძლია საკუთარ არსებობაში დაგარწმუნოს?! განსასჯელები მხოლოდ 24-25 წლის ახალგაზრდები არიან და აგვისტოს ომისა და ნოემბრის სასამართლოს შემდეგ ერთადერთი ჭეშმარიტება იციან: არ აიღო ხელში იარაღი, თუ სამართლიანი სახელმწიფო არ გაწვდის მას!

### ალექსანდრე თევდორაშვილის საქმე<sup>23</sup>

გორში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მიმართ სამართლებრივი დევნა წარმოშობით ცხინვალელი ალექსანდრე თევდორაშვილის იზოლირებით 2009 წლის 15 მარტს მხოლოდ დაიწყო. წინასწარი დაკავების იზოლატორში მასთან ერთად სოფელ ტყვიავში მცხოვრები კახა ქარელი და გორში მცხოვრები თამაზ მაცაშვილი იხდნენ. დაკავებულების თქმით, თითოეული მათგანის დაპატიმრების მიზანი 9 აპრილის აქციაზე მოსახლეობის მობილიზების ხელშეშლა იყო. ხოლო საბაბი - პოლიციელების სიტყვიერი შეურაცხყოფა, გინება და ლანძღვა, რომელიც რატომღაც ყველა აქტივისტმა შეთანხმებულად ერთდროულად, 9 აპრილის წინა დღეებში ჩაიდინა.

ალექსანდრე თევდორაშვილი წინასწარი დაკავების იზოლატორში ყველაზე დიდხანს - 27 დღე იჯდა. იგი იზოლატორიდან 11 აპრილს გამოვიდა, ანუ მასობრივი საპროტესტო აქციიდან 2 დღის გასვლის შემდეგ. კახა ქარელი 17 მარტს დააკავეს, მას 25 დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს. იზოლატორიდან ისიც, შესაბამისად, 11 აპრილს გამოვიდა.

თევდორაშვილი ცხინვალიდან დევნილია, აგვისტოს მოვლენების დროს დაედუპა ახლობლები, დაენგრა სახლი (სწორედ ასეთ მატერილურ გაჭირვებაში მყოფს, დააკისრა სასამართლომ დაუსაბუთებელი ბრალდების საფუძველზე პატიმრობასთან ერთად სოლიდური ჯარიმის გადახდა) და ხელისუფლების მიმართ პროტესტიც ამ ომის შემდეგ გაუჩნდა. ალექსანდრე თევდორაშვილმა 2009 წლის თებერვალს, „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ რეგიონული ორგანიზაციის დაფუძნებისას, საკუთარი სოფლიდან გორში დაახლოებით 40 მხადამჭერის ჩამოყვანა შეძლო.

<sup>23</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=3770&lang=ge>



„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 261-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას (ესე იგი, თევდორაშვილის შემთხვევაში საქმე სოფელ კარბში უნდა განიხილებოდა, სადაც იგი დანაშაულში ეჭვნიტანილად ცნეს), მაგრამ გორის შს სამმართველოს პოლიციის მუშაკებმა საქმის წარმოება ქალაქ გორის სასამართლოში გადაწყვიტეს. ამის მოტივად პოლიციელები სამართალდარღვევის ადგილის მომენტში თევდორაშვილის მხრიდან ურჩობის გაწევას ასახელებენ. პოლიციელების მტკიცებით, სამართალდამრღვევა მათ ოქმის შედგენაში ხელი შეუშალა, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, აგინა და ლანძღა.

თევდორაშვილის საქმე ერთ დაუჯერებელ წინააღმდეგობას შეიცავს: თუ გრიგოლ ელუაშვილი ერთ შემთხვევაში სასამართლოს წინაშე წარდგება, როგორც მოწმე, და თევდორაშვილის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას, მეორე შემთხვევაში, სასამართლოს სხდომის ოქმში, რომლითაც მოსამართლე დადგენილების მიღებისას ხელმძღვანელობს, იგი დაკავებული თევდორაშვილის ადვოკატად არის მოხსენიებული. აი, რა წერია ოქმში: „გამოცხადებულია ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევი პირის წარმომადგენელი - გრიგოლ ელუაშვილი“ (სინამდვილეში „სამართალდამრღვევს“ ადვოკატი არ ჰყოლია, მას ამის უფლება არ მისცეს). სასამართლოს სხდომის ოქმის იმავე გვერდზე (სულ 2-გვერდიანია სხდომის ოქმი) იგივე პირი - ინსპექტორ-გამომძიებელი ელუაშვილი უკვე თითქმის კომიკურ პერსონაჟად გვევლინება: იგი ამჯერად პასუხისგებაში მიცემულ პირად არის მოხსენიებული: „ახსნა-განმატებას იძლევა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი გრიგოლ ელუაშვილი“ (სტილი დაცულია და სიტყვასიტყვით არის ციტირებული სხდომის ოქმიდან).

სასამართლოს არც ის მიუჩნევია პოლიციელების მიერ ჩადენილ სამართალდარღვევად, რომ თევდორაშვილს მანქანა ჩამოართვეს და გორში საჯარიმო სადგომზე გადაიყვანეს, 10 ყუთი ვაშლით დატვირთული და თანაც „სამართალდამრღვევს“ 76 ლარი გადაახდევინეს საჯარიმოზე დგომის საფასურად.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, რომელშიც საუბარია ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევაზე, ნათლად არის განმარტებული, თუ რა შემთხვევაში ერთმევა სამართალდამრღვევს ავტოსატრანსპორტო საშუალება: „58-ე პრიმა 2-ის მუხლით, 86-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით, 114 (პრიმა 1); 153 (პრიმა 1); 155(პრიმა 1) - 155(პრიმა II); 157-ე, 190 (პრიმა I) და 193-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისას ჯარიმის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება სამართალდარღვევის საგნის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა.... ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევისას შედგება ოქმი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, ნივთების გასინჯვის ანდა ადმინისტრაციული დაკავების ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი“.

მსგავსი ჩანაწერი არც I და არც II ოქმში არ არსებობს. უფრო მეტიც, ალექსანდრე თევდორაშვილი არ გახლავთ გასამართლებელი ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი მუხლით.

„კანონის მიხედვით, სამართალდარღვევის დროს ოქმის შევსება ხდება ადგილზე, ხოლო, თუ ადგილზე ოქმის შედგენა ვერ ხერხდება, მაშინ პოლიცია იძულებულია, პირი დააკავოს, გადაიყვანოს განყოფილებაში და იქ მოხდეს ოქმის შევსება. თევდორაშვილის შემთხვევაში არ იყო აუცილებელი მისი გადაყვანა პოლიციის განყოფილებაში, რადგან იგი წინააღმდეგობას არ უწევდა პოლიციას ოქმის შედგენაში. I ოქმი, რომლის შედგენის ადგილად კარბია მითითებული, ზედმიწევნით დაწვრილებით არის შევსებული და თან ზედ თევდორაშვილის ხელმოწერაა. თუკი ალექსანდრე თევდორაშვილი წინააღმდეგი იყო ოქმის შედგენისა, მაშინ ოქმზე მისი ხელმოწერა რატომაა? პოლიცია კი ირწმუნება, რომ ფურცლები გადაგვიყარაო. ხოლო თუკი ოქმის შედგენაში ხელშეშლას ჰქონდა ადგილი, მაშინ ოქმზე სათანადო ჩანაწერი უნდა გაეკეთებინა პოლიციელს“, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ადვოკატმა ბაკურ ზურაბაშვილმა, რომელიც თევდორაშვილის ინერესების დაცვას მოგვიანებით შეუდგა.

ეს ოქმი სასამართლოზე საერთოდ არ გამოუჩენიათ. მოსამართლემ იხელმძღვანელა მეორე ოქმით და „სამართალდამრღვევის“ ხელმოწერა მასზეც დასტურდება. მაგრამ, იურისტთა განმარტებით, სასამართლოს არ ჰქონდა ამ ოქმით სარგებლობის უფლება, რადგან მასზე არ არის მითითებული შედგენის ადგილი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის მიხედვით, „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება: მისი შედგენის თარიღი და ადგილი...“

სასამართლო სხდომა მოსამართლემ სამართალდამრღვევის დაკავებიდან 2 საათის შემდეგ, 15 საათსა და 30 წუთზე, გახსნა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 260-ე მუხლის მიხედვით, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განსახილველად მომზადებას ეხება, წერია: „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განსახილველად მომზადებისას ორგანო წყვეტს შემდეგ საკითხებს: 1) განეკუთვნება თუ არა მის კომპეტენციას აღნიშნული საქმის განხილვა; 2) სწორად არის თუ არა შედგენილი ოქმი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სხვა მასალები; 3) ეცნობათ თუ არა საქმის მონაწილე პირებს საქმის განხილვის დრო და ადგილი; 4) გამოთხოვილია თუ არა საჭირო დამატებითი მასალები.“

მოსამართლე ნინო კორძაიამ არ გაითვალისწინა, რომ ოქმი არასწორად იყო შედგენილი; მას არც დამატებითი მასალები გამოუთხოვია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლის მიხედვით, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე.“

სასამართლო ვალდებული იყო, კანონის მაქსიმალურად მკაცრი დაცვით გაერკვია, ნამდვილად დამნაშავე იყო თუ არა ალექსანდრე თევდორაშვილი, რადგან, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა...“ ეს სასამართლოს ევალება. ხოლო მესამე ნაწილში წერია: „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“

კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიხედვით, „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“.

ალექსანდრე თევდორაშვილმა გორის სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილება ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ალექსანდრე თევდორაშვილის საჩივარი გორის სასამართლოს 2009 წლის 15 მარტის დადგენილების თაობაზე და გადაწყვეტილება 8 დღის შემდეგ მიიღო. მიიჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო და თავისი გადაწყვეტილების საფუძველად შემდეგი გარემოება დაასახელა:

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა ყველა მოქალაქისა და თანამდებობის პირისათვის. მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას ხელის შეშლა, მისი პატივისა და ღირსების შელახვა, მუქარა, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ძალადობა ან მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“. ჩამოთვლილ დანაშაულთაგან თევდორაშვილს არცერთის ჩადენა არ დაუდასტურდა.

## ირინა ხოდოიანის საქმე<sup>24</sup>

სასამართლოზე მოპასუხე საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით ქურთი ირინა ხოდოიანი გახლდათ. მოსარჩელე - ეროვნებით ქართველი მერი ინასარიძე. სასამართლო დავის საგანი - ირინა ხოდოიანის საცხოვრებელი ოთახის წინ მდებარე, მის კერძო საკუთრებაში არსებული 7 კვადრატული მეტრი ფართის აივანი.

სახლი თბილისში, ჯამბულის ქუჩის N3-ში, მდებარეობს. რამდენიმე საფეხურს აყავხართ ერთი ციციქნა აივანზე, მისი ერთი ნაწილი ხოდოიანის მიერ არის პრივატიზებული და იმ ერთ ოთახთან შესაერთებლად გამოიზნული, რომელშიც აქამდე ცხოვრობდა ეს ოჯახი. აივნის მეორე, პატარა ნაწილში მოსამარჩელე მერი ინასარიძის შესასვლელი კარია გაჭრილი. მერი ინასარიძეს მიაჩნია, რომ აივნით თანაბრად უნდა ისარგებლოს ორივე ოჯახმა: მისმა და ხოდოიანების ოჯახებმა. ხოდოიანები კი 4 წლის განმავლობაში კანონით ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ ვეღარ თავსდებიან ამ აივნის მიღმა მდებარე პატარა ოთახში, რომელიც ერთდროულად სასტუმროს ფუნქციასაც ასრულებს, სამინებლისაც, ბავშვის ოთახისაც და იმის გამო, რომ კარის მეზობელმა მერი ინასარიძემ საერთო სამზარეულოში წყლის მილები და ნიჟარა გაუუქმა, ოთახმა ოჯახის სამზარეულოს ფუნქციაც შეითავსა.

ეს იყო 2007 წელი. შესაბამისი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასამართლოში საქმის განხილვის პარალელურად, კანონის საფუძველზე, მაინც მიმდინარეობდა აღნიშნული ფართის ირინა ხოდოიანის კერძო საკუთრებაში დაკანონების პროცესი. სასამართლო საქმეშიც მოიპოვება მასალები იმის შესახებ, რომ ირინა ხოდოიანმა ამ ფაქტთან დაკავშირებით არაერთხელ განუცხადა მოსამართლეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ გაითვალისწინა ეს გარემოება, არ დაელოდა პრივატიზაციის დასრულებას და 2008 წლის 12 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ირინა ხოდოიანს აეკრძალა ინასარიძისთვის ფართით სარგებლობაში ხელშეშლა.

სასამართლო გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე თვეში პრივატიზების პროცესი დასრულდა და აღნიშნული აივანი ირინა ხოდოიანის კერძო საკუთრებაში გადავიდა (შეთანხმება უძრავ ქონებაზე N1-10515), რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მიხედვით კი, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება უნდა ვლინდებოდეს საჯარო რეესტრის ჩანაწერებით.

2008 წლის 24 ივნისს ირინა ხოდოიანმა ამ ჩანაწერების საფუძველზე გასასაჩივრებლად სააპელაციო სასამართლოს მიმართა. იგი ითხოვდა თავისი კუთვნილების ხელშეუხებლობას, თუმცა ეს პროცესი გაურკვეველი მიზეზით დღემდე შეჩერებულია.

მორიგი სარჩელით სასამართლოს მერი ინასარიძემ მიმართა. 2008 წლის 22 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში დაიწყო ახალი პროცესი. იგი სასამართლოსგან ითხოვდა სანოტარო აქტის გაბათილებას, რომლის თანახმადაც, ეს ფართი ხოდოიანის პირად საკუთრებად ცხადდებოდა. პროცესზე ინასარიძის მხარეს წარმოადგენდა ადვოკატი ნანა მურადაშვილი, ირინა ხოდოიანისას - "ადამიანის უფლებათა ცენტრის" წარმომადგენელი ნინო ლიპარტია. საქმეს განიხილავდა მოსამართლე მანანა მესხიშვილი.

სასამართლო პროცესი თავიდანვე კანონდარღვევით დაიწყო. საქმე აღძრული გახლდათ ძალადაკარგული მუხლების საფუძველზე. საქმე ის გახლავთ, რომ მოსარჩელე მერი ინასარიძის ადვოკატს სარჩელის სამართლებრივ საფუძველად მითითებული აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 208-ე და 211-ე მუხლები (სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ საკუთრებაში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იზოლირებული ბინა ან ბინის იზოლირებული ნაწილი;

---

<sup>24</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=3721&lang=ge>

სამოქალაქო კოდექსის 211-ე მუხლის თანახმად, შენობის ნაწილები, რომლებიც აუცილებელია ამ შენობის სიმტკიცისა და უსაფრთხოებისათვის, არ შეიძლება დაკანონდეს ინდივიდუალურ საკუთრებად). სასამართლომ მიიღო ეს სარჩელი მიუხედავად იმისა, რომ 208-ე მუხლი მთლიანად შეცვლილია და მის ნაცვლად ქვეყანაში მოქმედებს კანონი - “ზინის საკუთრება მრავალბინიან სახლში”. რაც შეეხება 211-ე მუხლს, იგი საერთოდ ამოღებულია კანონმდებლობიდან და არც არაფრით არის შეცვლილი. ხაზგასმით აღვნიშნავ შემდეგს: ცვლილებები კოდექსში შეტანილია 2007 წლის 1 აგვისტოდან. სასარჩელო განცხადება კი სასამართლომ მიიღო 2008 წლის 22 აგვისტოს, ესე იგი, ცვლილებების შეტანიდან ერთი წლის შემდეგ, ეს კი საკმაოდ დროა იმისათვის, რომ ცვლილებას ყველაზე დაუინტერესებელი და “ოროსანი” მოსამართლის ყურამდეც მიეღწია.”

სასამართლომ ძალადაკარგული მუხლების საფუძველზე საქმის წარმოებაში მიღებით დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლი (სარჩელის შინაარსის შესახებ), რომლის მიხედვით, სარჩელში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. ამავდროულად, დაირღვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ კანონი კარგავს ძალას, თუ ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს ახალი კანონი.

ყველაზე მეტად აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ სასამართლო სხდომებზე მოსარჩელე მერი ინასარიძე ირინა ხოდოიანის ეთნიკურ წარმომავლობას შეურაცხყოფელ კონტექსტში მოიხსენიებდა, რადგან ირინა ხოდოიანი ეთნიკურად ქურთია, მოსამართლეს კი არც ერთხელ უცდია აღნიშნულ ფაქტზე კანონიერი რეაგირება. ამით სასამართლომ დაარღვია ადამიანისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, რომლის თანახმად, სახელმწიფო და, პირველ რიგში, სასამართლო ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას ადამიანის ეროვნული ღირსება მესამე პირის ხელყოფისაგან.

აღნიშნული ქმედებით, უფრო სწორად, უმოქმედობით, სასამართლომ, საქართველოს კონსტიტუციის გარდა, დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 მუხლიც, რომელშიც წერია, რომ კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მიუხედავად სქესისა, რასისა, კანის ფერისა, ეროვნული მიკუთვნებულებისა და სხვა.

სასამართლო პროცესის საბოლოო სხდომა 6 აპრილს გაიმართა. მოსამართლემ, როგორც ჩანს, ანგარიში გაუწია პროცესში ადამიანის უფლებათა დამცველებისა და ჟურნალისტების ჩართვას. სასამართლოს ფინალში აღარ გაისმოდა ეროვნული დისკრიმინაციის შემცველი ტექსტები ირინა ხოდოიანის მიმართ. მოსამართლემ მერი ინასარიძის სარჩელი არ დააკმაყოფილა და, შესაბამისად, სამართალმაც სამეზობლო პური ჭამა - 7 კვადრატული მეტრი ირინა ხოდოიანის საკუთრებაში დარჩა. საბოლოოდ, მართლმსაჯულების შერყეულმა სასწორმა სამართლიანობისკენ გადაწონა.

## ივანე თამაზაშვილის საქმე<sup>25</sup>

ივანე თამაზაშვილი სამართალდამცველებმა 2009 წლის 15 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს შენობასთან გამართული საპროტესტო აქციის დარბევისას დააკავეს. არც დაკავებისას, არც საკანში ყოფნისას თამაზაშვილისთვის არ განუმარტავთ მისი უფლებები და დაკავების საფუძველი.

---

<sup>25</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=4163&lang=ge>

სხდომა ხანმოკლე იყო. შედგა ოქმი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ, მირანდა ერემიძემ, გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ივანე თამაზაშვილი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით და სასჯელის ნორმად 400 ლარის ოდენობით ჯარიმა განუსაზღვრა.

სასამართლომ ნამდვილად განიხილა სამართალდარღვევის ოქმი, მხარეთა ახსნა-გამარტებებიც მოისმინა, მაგრამ მასალებსა და მტკიცებულებებს ვერ განიხილავდა, რადგან ივანე თამაზაშვილის ბრალეულობის დამადასტურებელი საბუთები საქმეში უბრალოდ არ იყო და, შესაბამისად, არც სასამართლოზე ყოფილა წარმოდგენილი. თავად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი კი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდან-ნაძალადევის სამმართველოს მე-3 განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელი, ავთანდილ ფოლადაშვილი, დაკავებულმა და სამართალდამრღვევად ცნობილმა თამაზაშვილმა პირველად სასამართლოს სხდომაზე იხილა. არც დაკავებისას, არც პოლიციის სამმართველოში ყოფნისას მას არ უნახავს მისი დანაშაულის აღმსრულებელი, ოქმის შემდგენი, ინსპექტორ-გამომძიებელი ფოლადაშვილი. ადვოკატი ცისმარ ონიანი, ამ საქმის ერთადერთი მოწმეც, ადასტურებს, რომ ავთანდილ ფოლადაშვილი პოლიციის სამმართველოს წინ თამაზაშვილის დაკავებისას არ უნახავს. ანუ სამართალდარღვევის ოქმის შემდგენს სამართალდარღვევის ფაქტი არ უნახავს და არც გამოძიება ჩაუტარებია, რაზეც ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ თამაზაშვილს ინსპექტორ-გამომძიებელი არ უნახავს; ამ უკანასკნელს არ დაუკითხავს დაკავებული.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლში ჩამოთვლილია ის მტკიცებულებები, რომელთა არსებობაც აუცილებელია სამართალდარღვევის ფაქტის დადგენისას: მოწმის ჩვენება, სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ფოტო ან ვიდეომასალა, ფაქტობრივი გარემოებების ამსახველი სხვა მასალები. თამაზაშვილის საქმეში კი არ არის წარმოდგენილი არც ერთი ასეთი მტკიცებულება, არ არსებობს მოწმე, რომელიც დაადასტურებდა, რომ ივანე თამაზაშვილს გადაკეტილი ჰქონდა გზის სავალი ნაწილი და რომ იგი “ბოროტად” არ დაემორჩილა პოლიციელთა მოთხოვნას. თუმცა კი პოლიციის მთავარი სამმართველოს შესასვლელთან დამონტაჟებული კამერის ფირზე აუცილებლად იქნებოდა დაფიქსირებული სამმართველოს შენობის წინ განვითარებული მოვლენები და, რა თქმა უნდა, ივანე თამაზაშვილსა და პოლიციელებს შორის გამართული ინტერაქცია. ეს ფირი მყისიერად მოჰფენდა ნათელს თამაზაშვილის საქმეს, მაგრამ, დაცვის მხრის მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლოზე არ იქნა წარმოდგენილი.

მოსამართლის განაჩენი კი ერთადერთ გარემოებას დაეფუძნა - ინსპექტორ-გამომძიებლის, ავთანდილ ფოლადაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ ივანე თამაზაშვილმა “თითქმის ჩაიდინა სამართალდარღვევა”. სასამართლო პროცესზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი მოახსენებს სასამართლოს, რომ მოქალაქე ივანე თამაზაშვილი 2009 წლის 15 ივნისს კორნელი ჩალაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას გაეთავისუფლებინა გზის სავალი ნაწილი. მოსამართლე ითხოვს პოლიციის ბრძანების დაკონკრეტებას და სვამს კითხვას, ჰქონდა თუ არა ივანე თამაზაშვილს გზა გადაკეტილი. ინსპექტორ-გამომძიებელი პასუხობს, რომ პოლიციის მოთხოვნას შეადგენდა გზის სავალი ნაწილის გათავისუფლება, რომელიც ივანე თამაზაშვილს სხვა პირებთან ერთად თითქმის გადაკეტილი ჰქონდა (ოქმში ეს ფრაზა შეტანილია ივანე თამაზაშვილის ადვოკატის პროტესტის შედეგად ოქმის ჩასწორების შემდეგ). მოსამართლე არ ეკითხება ავთანდილ ფოლადაშვილს, ოქმის შემდგენს, ანუ მას არ აინტერესებს, რას ნიშნავს “თითქმის გადაკეტილი გზა”, სად იმყოფებოდა სამართალდამრღვევად მიჩნეული ივანე თამაზაშვილი მისდამი მოთხოვნის წაყენებისა და ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობის მომენტში, იდგა თუ არა იგი გზის სავალ ნაწილზე (იქნებ იჯდა ან იწვა-მ.გ.), ან ჰქონდა თუ არა გზა გადაკეტილი რამე ტექნიკური ან მექანიკური საშუალებით. მოსამართლე არ მოითხოვს ივანე თამაზაშვილის მიერ “გზის თითქმის გადაკეტვის” დამადასტურებელ თუნდაც ერთ მტკიცებულებას, თუნდაც ყველაზე მარტივს-მოწმის ჩვენებას.

მოსამართლე მირანდა ერემიძეს სასამართლო პროცესზე არ დაუსვამს არც ერთი შეკითხვა არც მის მიერ შემდგენი ბრალდებულად ცნობილი ივანე თამაზაშვილისათვის, არც ერთადერთი მოწმისთვის.

სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას კი არ გაუთვალისწინებია არც თამაზაშვილის და არც მისი მოწმის ჩვენებები, არც თამაზაშვილის დაცვის მიერ წარმოდგენილი ვიდეომასალა, რომელშიც ასახულია, თუ როგორ უსწორდებიან პოლიციელები აქციის მონაწილეებს ყოველგვარი მოთხოვნის, ბრძანების ან მითითების გარეშე.

ივანე თამაზაშვილი სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში დაადანაშაულა, ანუ “სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობაში”. ამ მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ ესა თუ ის პირი სამართალდამრღვევად იყოს ცნობილი, საჭიროა ორი ფაქტობრივი გარემოების ერთდროულად დადასტურება: სამართალდამცველების კანონიერი განკარგულების არსებობა და ამ განკარგულებისადმი “ბოროტად” დაუმორჩილებლობა. სასამართლოს სწორედ ამ ორი ფაქტორის არსებობა უნდა დაედგინა. სამართალდამცველთა მოთხოვნის კანონიერების დადგენა იმთავითვე გამორიცხული იყო, რადგან საქართველოს კანონი “შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ” უფლებას აძლევს მოქალაქეებს, შეიკრიბონ ქუჩაში, საჯაროდ, თუნდაც პოლიციის სამმართველოს შენობის წინ. სამართალდამცველებს კი არ აქვთ უფლება, ხელი შეუშალონ მოქალაქეთა მშვიდობიან შეკრებას და გასცენ თავყრილობის “დაშლის” განკარგულება. რაც შეეხება “ბოროტად დაუმორჩილებლობას”, მოსამართლე მირანდა ერემიძის მიერ გამოტანილ სასამართლოს დადგენილებაში გაკვირთავს კი არ არის ნათქვამი, რომ ივანე თამაზაშვილი ბოროტად არ დაემორჩილა პოლიციის მოთხოვნას. არადა, სასკ-ის 173-ე მუხლით მხოლოდ “ბოროტი დაუმორჩილებლობა” ითვლება დასჯად ქმედებად და არა, ზოგადად, დაუმორჩილებლობა. სრულიად გაუგებარია, როგორ ცნო სასამართლომ სამართალდამრღვევად ივანე თამაზაშვილი სასკ-ის 173-ე მუხლით, ან როგორ უნდა დამორჩილებოდა იგი პოლიციელთა ბრძანებას, როცა ამ უკანასკნელთ მისთვის არაფერი უბრძანებიათ.

საქართველოს კანონმდებლობა მოსამართლეს სრულ თავისუფლებას ანიჭებს, თავად განსაჯოს, რამდენი და რა სახის მტკიცებულებაა საჭირო და საკმარისი იმისთვის, რომ ესა თუ ის მოქალაქე სამართალდამრღვევად ცნოს, ანუ კანონი ნდობას უცხადებს მოსამართლეს, მის წესიერებასა და კომპეტენციას. თამაზაშვილის საქმე ერთ-ერთია იმ მრავალთაგან, რომელთა გაცნობის შედეგად ეჭვქვეშ დგება ასეთი ნდობის მიზანშეწონილობა.

## ვახტანგ მაისაიას საქმე<sup>26</sup>

ვახტანგ მაისაიას ბრალად ედება უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან კავშირი, მათგან მიღებული დავალების შესაბამისად, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მოპოვება და დაშიფრული სახით გაგზავნა. მაისაია აგზავნიდა “ინფორმაციებს საქართველოში არსებული სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებისა და სამთავრობო ცვლილებების შესახებ. ასევე საქართველოს მიერ შექმნილი შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის შესახებ. 2008 წლის აგვისტოში, საქართველო-რუსეთის ომის პერიოდში, საათობრივად აწვდიდა ინფორმაციას საქართველოს შეიარაღებული ძალების დანაყოფების, სამხედრო ტექნიკის რაოდენობისა და დისლოკაციის ადგილების შესახებ”.

სამართალდამცავები მაისაიასთვის საიდუმლო მასალების ხელმისაწვდომობას, სავარაუდოდ, ნატო-ში მის წარსულ მოღვაწეობასა და ახლანდელ ერთიერთობებს უკავშირებენ. 2004-2008 წლებში მაისაია დიპლომატიური მისიით ნატოში მრჩევლად მსახურობდა. 2008 წლის დასაწყისიდან ის საქართველოში დაბრუნდა და სამეცნიერო საქმიანობას შეუდგა.

<sup>26</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=4135&lang=ge>

მაისაიას საქმემ კანონის კიდევ ერთი პრინციპი დააყენა ექვევემ - კანონის საყოველთაობის პრინციპი. საქმე ის გახლავთ, რომ ის, რაშიც მაისაიას კანონის დამცველები ედავებიან, სადაო არ აღმოჩნდა სხვების მისამართით. სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონში წერია, რომ საიდუმლოა ინფორმაცია “ჯარების სტრატეგიული და ოპერატიული გადაადგილების, მათი მობილიზაციის, საბრძოლო მზადყოფნისა და სამობილიზაციო რესურსების გამოყენების საკითხებზე”. სასამართლომ უნდა გაარკვიოს, შეიცავდა თუ არა ვახტანგ მაისაიას მიერ გავრცელებული რეპორტები კანონის მიერ საიდუმლოდ მიჩნეულ ინფორმაციებს. მაგრამ იქამდე კანონის დამცველებმა ერთ საკითხში უნდა გაარკვიონ საზოგადოება: რატომ ჩაითვალა საექვოდ მხოლოდ მაისაიას ქმედება მაშინ, როცა “ჯარების სტრატეგიული და ოპერატიული გადაადგილების, მათი მობილიზაციისა” და ა. შ. შესახებ ინფორმაციებს ცხინვალის სამხარო პროცესების დროს თითქმის ყველა მედიასაშუალება გადასცემდა? მაგალითად, “რუსთავი-2-მა” 8 აგვისტოს ზუსტად გადასცა იმ პუნქტების დასახელებები, რომლებშიც რეზერვისტების მობილიზება მიმდინარეობდა.

გარდა ამისა, თუნდაც მაისაიას თავისი პირველი ჩვენებით დანაშაული ეღიარებინა, მისი ბრალეულობის დამამტკიცებლად არ იქნებოდა საკმარისი, რადგან ექვმიტანილის აღიარებითი ჩვენება, კანონის მიხედვით, პირის ბრალეულობას არ ამტკიცებს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლის მე-4 ნაწილში ხაზგასმით აღინიშნება, რომ “ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ბრალდებასა და გამამტყუნებელ სასამართლო განაჩენს, თუ ბრალის აღიარება დამტკიცებული არ არის საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით”. რა მტკიცებულება აქვს გამოძიებას მაისაიას წინააღმდეგ მისი ჩვენებისა და იმ 13 რეპორტის გარდა, რომლებიც საქმეში დევს? ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ძიებას სხვა მტკიცებულებები არ გააჩნია. არსებობს მხოლოდ რამდენიმე საექვო გარემოება, რომელთა ახსნა და ბრალდებულის სასარგებლოდ გამოყენება გაუჭირდება დაცვის მხარეს:

ინფორმაციებსა და ანალიტიკურ სტატიებს მაისაია ფარმაცევტულ კომპანიაში მცირე კოდის საშუალებით გზავნიდა. ამის მიზეზად ასახელებს „ნოვარტისის“ პირობას, რომლის მიხედვით, კოდი კონკურენტი ფირმებისთვის ინფორმაციის ხელმიუწვდომლობისა და კომერციული საიდუმლოს დაცვის მიზნით უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ადვოკატ ნათია კორკოტაძის თქმით, ეს იყო ELPI კოდი, რომელიც ნებისმიერმა მომხმარებელმა შეიძლება ინტერნეტიდან ჩამოტვირთოს. „ეს არ იყო მაისაიასთვის სპეციალურად შექმნილი საიდუმლო კოდი, როგორც ამას სამართალდამცავები ამტკიცებენ, არამედ სპეციალური შიფრი, რომელიც გაგზავნილი მასალების მოცულობის შეკუმშვის საშუალებას იძლეოდა“, - განაცხადა ადვოკატმა.

როგორც ექსპერტები განმარტავენ, წესით, ფარმაცევტული ფირმა დაშიფრულ ინფორმაციებზე არ უნდა მუშაობდეს, რადგან ასეთი ფირმები არც საიდუმლო ინფორმაციებს ეძიებენ (შიფრის გამოყენების სავარაუდო საფუძველი) და არც სისწრაფეში უწყევნ ერთმანეთს კონკურენციას (შიფრის გამოყენების კიდევ ერთი სავარაუდო საფუძველი).

ამას გარდა, აუცილებელი იქნება, გაირკვეს, რატომ უარყოფს „ნოვარტისი“ დოლეჟალთან, იატსუნსკასა და მაისაიასთან თანამშრომლობას; რატომ უარყოფს ბრატისლავის უნივერსიტეტი მაისაიას ნათქვამს, რომ უნივერსიტეტში სწავლის საფასურს მას „ნოვარტისი“ უხდიდა (სწორედ, ინფორმაციული თანამშრომლობის საფასურად პირდაპირი გადარიცხვის გზით. ბრატისლავის უნივერსიტეტმა ჩვენს საგამოძიებო ჯგუფს მოსწერა, რომ ვახტანგ მაისაია საკუთარი ხარჯებით სწავლობდა უნივერსიტეტში). ვახტანგ მაისაიას კიდევ რომ დაუდასტურდეს უცხო ქვეყნებთან თანამშრომლობა, დასაზუსტებელი იქნება, ეს ქვეყანა მაინც და მაინც რუსეთია თუ არა.

## დასკვნები და რეკომენდაციები

დღეს საქართველოს კანონმდებლობა, მართალია, ძალიან კარგად იცავს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას, თუმცა საქართველოში საზოგადოების დიდი ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოებრივი ჯგუფებისა თუ ცალკეული მოქალაქეების სახით, ღიად უცხადებს უნდობლობას სასამართლოს და პროტესტს გამოთქვამს სასამართლოს დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხთან დაკავშირებით.

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებათა დაცვას, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესსა და მოქალაქეების უსაფრთხოებას, ამძიმებს სოციალურ ფონს.

- საქართველოში წინასწარი პატიმრობა უკვე ნორმად არის ქცეული. დღეს თითქმის არ არსებობს არცერთი სასამართლო პროცესი, რომელიც ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებით არ მთავრდებოდეს. მოხდეს „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის გადასინჯვა; არ არის აუცილებელი, ყველა ეჭვმიტანილი წინასწარ პატიმრობაში იქნეს აყვანილი, მით უმეტეს, თუ მისი გარეთ ყოფნა გამოძიებას პრობლემას არ შეუქმნის;

- აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინასწარი დაკავების საკნებში ხშირია წამებისა და არაადამიანურად მოპყრობის შემთხვევები და მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ამაზე ხშირად მიუთითებენ და წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კონკრეტულ ფაქტებსაც აწვდიან შესაბამის სამსახურებს, მხოლოდ რამოდენიმე პოლიციელია, რომელიც გასამართლებულია სისხლის სამართლის შესაბამისი მუხლით. ეს საქართველოში ერთგვარი დაუსჯელობის კულტურის არსებობაზე მიუთითებს;

- განხილული საქმეების ანალიზიდან კარგად ჩანს, რომ საქმეთა უმრავლესობა გადაწყვეტილია საპროცესო შეთანხმების დამტკიცებით სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვისა და მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გამოკვლევის გარეშე.

სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვა ძირითადად ერთი ან ორი პროცესის ჩატარებით შემოიფარგლება. ბუნებრივია, ამ დროს მიმდინარეობს საქმის ვითარების ზედაპირული მოსმენა და შემდეგ საპროცესო შეთანხმების დამტკიცება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სასამართლო არც თუ ისე ხშირად ამბობს უარს პროკურატურის შუამდგომლობაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ. უმეტესი ასეთი შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია;

- მოსამართლეთა გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის არსებობა: ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე არსებობს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პროკურატურის მხრიდან ზეწოლა;

- ყოველი სასამართლო პროცესი ღიად და საჯაროდ უნდა განიხილებოდეს. მართალია, არის შემთხვევები, რომლებიც ითვალისწინებს დახურული სასამართლო პროცესის ჩატარებას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც განაჩენი საჯაროდ უნდა გამოცხადდეს. პროცესის საჯაროობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, აღნიშნული სასამართლო პროცესის ფოტო, კინო, ვიდეო გადაღება და აუდიო ჩაწერა მოხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებაში ყოველთვის იარსებებს ეჭვი იმის შესახებ, რომ ის კადრები, რომლებიც მხოლოდ თავად სასამართლოს მეშვეობით გავრცელდა, შეიძლება დამონტაჟებული იყოს და მან რეალურად არ ასახოს მოვლენები;

- მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია უზრუნველყოფს სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების შთამბეჭდავ არეალს, მათ შორის, პირის უფლებას, მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, პრაქტიკაში სასამართლოს როლი ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში კვლავ არაადექვატურია - სასამართლოს საშუალებით დახმარების ძიება უშედეგოა.



ანგარიში გამოიცა პროექტის - „სასამართლო სიტემის მონიტორინგი“ ფარგლებში.

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ ფინანსური მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდს“ საქართველოში.

ანგარიშის ავტორი: **ნინო ანდრიაშვილი**

რედაქტირება: **ნინო ღვედაშვილი, უჩა ნანუაშვილი**

თარგმანი: **თამუნა ბოლქვაძე**

მის.: საქართველო, თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. 3ა.

ტელ: (8 22) 37 69 50, (+995 32) 45 45 33;

ფაქსი: (+995 32) 37 69 50;

ელ-ფოსტა: [hridc@hridc.org](mailto:hridc@hridc.org), ვ

ებ-გვერდი: [www.hridc.org](http://www.hridc.org)

იხილეთ ონლაინ გაზეთი: [WWW.HUMANRIGHTS.GE](http://WWW.HUMANRIGHTS.GE)

